პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14–76
რედაქტორის მოადგ. 23–17
მდივნის . . . 10–58
მასიური განყოფილ. 22–44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34 ტელეფონი № 8–81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებები, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშუაცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

1905 წლის რევოლუციის 25 წლისთავი

შაბათი, 20 დეკემბერი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 298 (2946)

რუსეთის რევოლუციის 25 წლისთავი

„1905 წ. გენერალური რეპეტიციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა 1917 წ. ოქტომბრის გამარჯვება" (ლენინი)

1905 წელმა მოგვცა რევოლუციაში ორი ტაქტიკის შემოწმების საშუალება. მან დაანახვა პროლეტარიატს და ფართო მშრომელ მასას, რომ მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, მთლიან მონოლიტურ-რევოლუციონურ პარტიას შეუძლია გაუძღვეს პროლეტარიატს სოციალიზმის დასამყარებლად

1905 წლის რევოლუციის პროცესში რუსეთის პროლეტარიატმა ბოლშევიკები წამოაყენა, როგორც თავისი ავანგარდი, რომელმაც რეაქციისა და ომის წლებიდან პროლეტარიატი მიიყვანა ოქტომბრის გამარჯვებამდე და ამით უზრუნველჰყო სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში

1950 წლის რევოლუცია

საბჭოთა კავშირის გამარჯვებული პროლეტარიატი, რომელიც კომუნისტური პარტიის მეთაურობით აშენებს სოციალიზმს მთელი მსოფლიოს მეექვსედ ნაწილზე, და საერთაშორისო რევოლუციონური მუშათა კლასი აღნიშნავენ დღეს 25 წლისთავს პირველი რევოლუციისას, რომელსაც ლენინი უწოდებდა დიდ ოქტომბრის „გენერალურ რეპეტიციას".

დიდი ხნის ბრძოლამ, ერთი მხრით მემამულეთა წყობილების, მისი ზედნაშენი თვითმპყრობელური მონარქიით, რომელსაც მხარს უჭერდა მსხვილი ბურჟუაზია და მეორე მხრით პროლეტარიატს შორის, რომელიც მეთაურობდა გლეხკაცობას, — ათასცხრას ხუთში მიაღწია უმაღლეს საფეხურს. ამ საფეხურს ჩვენ აღვნიშნავთ პირველი რევოლუციის სახელით.

რევოლუცია იყო თავისი სოციალური ბუნებით ბურჟუაზიულ - დემოკრატიული, რადგან მის უშუალო მიზანს შეადგენდა დამხობა მონარქიის და დამყარება დემოკრატიული რესპუბლიკის. მას უნდა მოესპო ფეოდალურ - პომეშჩიკური მიწადმფლობელობა და პირველ ყოვლისა მიეცა დაკმაყოფილება გლეხკაცობისათვის, შეექმნა პირობები კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მაგრამ ვინაიდან რევოლუცია მიმდინარეობდა სხვა ისტორიულ პერიოდში, ვინემ მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ევროპის ბურჟუაზიული რევოლუციები, ე. ი. მიმდინარეობდა იმ პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმი და მისი მესაფლავე პროლეტარიატი ბევრად უფრო განვითარებული იყვნენ, როდესაც მუშათა კლასი უკვე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა — ამიტომ 1905 წლის რევოლუცია იყო არა მარტო ბურჟუაზიულ - დემოკრატიული, არა მარტო გლეხურ - ბურჟუაზიული, არამედ პროლეტარულიც. და ეს „არა მხოლოდ იმ აზრით, რომ პროლეტარიატი იყო ხელმძღვანელი ძალა, ავანგარდი მოძრაობის, მაგრამ იმ აზრითაც, რომ ბრძოლის სპეციფიურ-პროლეტარული საშუალება, სახელდობრ გაფიცვა, წარმოადგენდა უმთავრეს საშუალებას მასის ამოძრავებისას და ყველაზე უფრო დამახასიათებელ მოვლენას გადამწყვეტი ამბების ტალღისებური თანდათანი ზრდისას" (ლენინი).

ასეთ საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილში, რომელსაც შეიცავდა პირველი დიდი რევოლუცია, ჩაისახა სოციალ - დემოკრატიის „ორი ტაქტიკა": ბოლშევიკური და მენშევიკური. მათ ირგვლივ სწარმოებდა შემდეგ ბრძოლა სამივე რევოლუციის მანძილზე. ერთ მათგანმა მიიყვანა რევოლუციონური სოციალ - დემოკრატია, ბოლშევიზმი გამარჯვებამდე, სოციალიზმის მშენებლობამდე, ხოლო მეორემ — ოპორტუნისტული სოციალ - დემოკრატია, მენშევიზმი, ბურჟუაზიის მაჩანჩალობამდე და საბოლოოდ სოციალ - ფაშიზმამდე, ე. ი. იმ მდგომარეობამდე, როდესაც ის წარმოადგენს მუშათა კლასის ჯალათს იმპერიალისტური ბურჟუაზიისა და მისი სახელმწიფოს ხელში.

როგორც ვთქვით, ბოლშევიკები ჰეგემონის როლს პირველ რევოლუციაში აკუთვნებდნენ პროლეტარიატს, მენშევიკები კი ბურჟუაზიას. ამიტომაც პირველნი გამოდიოდნენ პროლეტარიატის დამოუკიდებელი ხაზისათვის რევოლუციაში; მისი ხელმძღვანელობით უნდა ებრძოლა გლეხკაცობას და იბრძოდა კიდევაც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ხოლო მენშევიკების თეორიით და პრაქტიკით მუშათა კლასი და გლეხკაცობა უნდა გადაქცეულიყვნენ ბურჟუაზიისა და ლიბერალური პარტიების მაჩანჩალად, როგორც თვით მენშევიკური პარტია გადაიქცა ამ ძალების მაჩანჩალად და აგენტურად მუშათა კლასში. რევოლუციის ასეთი შეფასებიდან წარმოსდგებოდა ამ ორი ფრაქციის (შემდეგ ორი პარტიის) დამოუკიდებლობაც იმ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის აქტისათვის 1905 წლის რევოლუციაში, რომელსაც წარმოადგენდა დეკემბრის აჯანყება. ეს აჯანყება მენშევიკებმა მონათლეს ავანტიურად, ბოლშევიკები კი ავანტიურისტებად. პლეხანოვი, მენშევიზმის თეორეტიული ბელადი სწერდა ამ აჯანყების შემდეგ თავის ცნობილ „სოციალ - დემოკრატის დღიურებში": „არ უნდა აგვეღო იარაღი ხელში, არ უნდა დაგვეწყო შეიარაღებული აჯანყება"-ო. სად გვყავდა ჩვენ ძალები, ხალხი მზად არ იყოვო და ხშირად დაცინვით იმეორებდა პოეტის სიტყვებს: „Вот „ура" мы зашумели, а резервы не поспели"!

მარტო ამ დებულებებშიც გამოხატა კაბინეტური ფილოსოფია მენშევიკების, ფილოსოფია „ლიბერალური მუშათა პოლიტიკის" ე. ი. მუშათა ინტერესების ღალატის და გამყიდველობის. ლენინმა, აღშფოთებულმა მენშევიკების ასეთი რენეგატობით, სასტიკად გაილაშქრა ამ დებულების წინააღმდეგ. „არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი სიბეცე — სწერდა ის—ვინემ ყველას მიერ განმეორებული პლეხანოვის შეხედულება, რომ არ იყო საჭირო უდროოდ გაფიცვის დაწყება, რომ „არ უნდა მოეკიდათ ხელი იარაღისათვის"-ო. პირიქით საჭირო იყო უფრო გადამჭრელი ენერგიული შეტევით იარაღის აღება. უნდა აგვეხსნა მასებისათვის შეუძლებლობა მხოლოდ მარტო მშვიდობიანი გაფიცვის და საჭიროება უშიშარი და დაუზოგავი შეიარაღებული ბრძოლის. საკმაო არ არის პოლიტიკური გაფიცვები. ჩვენ უნდა ვიქადაგოთ უფართოეს მასებში შეიარაღებულ აჯანყებისათვის. დამალვა მასებისაგან სისხლიანი გამანადგურებელი ომის აუცილებლობის, როგორც მომავალი შეტევის უშუალო ამოცანისა, ნიშნავს როგორც თავისი, ისე სხვის მოტყუებას"-ო.

ასე გადაჭრით გამოვიდა ლენინი—დეკემბრის აჯანყებისადმი პლეხანოვისა და ყველა მენშევიკების რენეგატული დამოკიდებულების წინააღმდეგ. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა ის. დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებას მან უძღვნა შემდეგ მთელი რიგი წერილები და სხვადასხვა დროს ეხებოდა ამ საკითხს. ის სწერდა სხვათა შორის შემდეგსაც: „დეკემბერმა დაადასტურა კიდევ ერთი ღრმა... დებულება მარქსის, რომელიც სწერდა, რომ აჯანყება ხელოვნებაა და რომ ამ ხელოვნების მთავარი წესი არის—სასოწარკვეთამდე გაბედული, შეუდრეკელად გადამჭრელი შეტევა. ჩვენ არა საკმაოდ გვისწავლია თვითონ და არა საკმაოდ გვისწავლებია მასებისთვის ეს ხელოვნება, ეს წესი შეტევისა ყოველ მიზეზს გარეშე. ეს ნაკლი ჩვენ უნდა გამოვასწოროთ ახლა მთელი ენერგიით. საკმაო არაა მარტო დაჯგუფება პოლიტიკური ლოზუნგების მიმართ საჭიროა კიდევ დაჯგუფება შეიარაღებულ აჯანყების მიმართ ვინც მისი წინააღმდეგია, ვინც არ ემზადება მისთვის, ის უნდა გავტყორცნოთ რევოლუციის მომხრეთა რიცხვიდან, ის უნდა ვისროლოთ მისი მოწინააღმდეგეებისაკენ—გამყიდველებისა და ლაჩრებისაკენ, რადგან გვიახლოვდება დღე, როდესაც ამბების ძალა, როდესაც ბრძოლის გარემოება ჩვენ ვალდებულს გაგვხდის გავარჩიოთ ამ ნიშნის მიხედვით მტრები და მეგობრები".

აქედან ნათელია ის ორი შეურიგებლად დაპირისპირებული ხაზი ორი ტაქტიკისა რუსეთის რევოლუციაში, რომლებმაც გაშლილი ბრძოლის ასპარეზზე ჰპოვა თავიანთი გამოხატულება და რომელიც დათავდა ღალატისა და შემდეგ აშკარა კონტრ-რევოლუციის გზით მიმავალ მენშევიზმის დამსხვრევით, ხოლო კომუნისტური (ბ) პარტიის ბრწყინვალე გამარჯვებით ოქტომბრის დიდ რევოლუციაში.

ოქტომბერში გამარჯვებული მუშათა კლასი დიდი ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის დღეს სოციალიზმის აშენებისათვის მთელი ძალების დაძაბვით, საერთაშორისო რევოლუციონური პროლეტარიატის აქტიური თანაგრძნობით, უდიდეს საგარეო და შინაურ სიძნელეთა გადალახვით. ამ გზაზე მას უხდება ძლევამოსილი შეტევა არა მარტო საგარეო და შინაურ კონტრ-რევოლუციის, არამედ ამ კონტრ-რევოლუციის აგენტურის წინააღმდეგ პარტიაში და მუშათა კლასში, ე. ი. მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების წინააღმდეგ. ჩვენი საბოლოო გამარჯვების აუცილებელი პირობა არის მათი დამარცხება. მებრძოლთა ახალი თაობა, რომელიც ისწავლის ლენინელთა ძველი კოჰორტის დიად გამოცდილებათა გაკვეთილებზე ბრძოლაში გამძლეობას, კლასიურ შეურიგებლობას, დისციპლინის სიმტკიცეს და ყოველივე ამას მარქსიზმ - ლენინიზმის თეორიით გაშუქებულს, ეს ახალი თაობა მთელ მუშათა კლასთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობით ბოლომდე მიიტანს სოციალიზმის გამარჯვების დროშას.



ამხ. ვ. ლენინი 1905 წელში

ლენინის წერილის გამოუქვეყნებელი ადგილი

მოსკოვი, 19 დეკემბერი. ლენინის ინსტიტუტს მოჰყავს ჯერ გამოუქვეყნებელი ნაწყვეტი ლენინის წერილიდან „რევოლუციონური არმია და რევოლუციონური მთავრობა".

„სოციალ - დემოკრატია ომს არასოდეს არ უყურებდა და არ უყურებს სანტიმენტალური თვალსაზრისით. სოციალ - დემოკრატიამ, რომელიც გადაჭრით ჰგმობს ომს, როგორც კაცობრიობის დავის მხეცური საშუალებით გადაწყვეტას, იცის, რომ ომი აუცილებელია იმ დრომდე, ვიდრე საზოგადოება კლასებად არის დაყოფილი და ვიდრე არსებობს ექსპლოატაცია ადამიანისა ადამიანის მიერ. ხოლო ამ ექსპლოატაციის მოსასპობად თავიდან ვერ ავიცილებთ ომს, რომელსაც ყოველთვის და ყველგან იწყებენ თვით ექსპლოატატორი, გაბატონებული და მჩაგვრელი კლასები. არის ომიც და ომიც. არის ომი, რომელიც ავანტიურას წარმოადგენს, რომელიც აკმაყოფილებს დინასტიის ინტერესებს, მძარცველი ბრბოების ჰადას და კაპიტალისტური გამდიდრების გმირთა მიზნებს. არის ომი — და ეს ერთად - ერთი კანონიერი ომია კაპიტალისტურ საზოგადოებაში —ხალხის მჩაგვრელებისა და დამმონებლების წინააღმდეგ. მხოლოდ უტოპისტებს და ფილისტერებს შეუძლიათ პრინციპიალურად დაჰგმონ ასეთი ომი. მხოლოდ თავისუფლების ბურჟუაზიულ გამცემლებს შეუძლიათ განზე გაუდგნენ ამჟამად რუსეთს, განზე გაუდგნენ ამ ომს ხალხის თავისუფლებისათვის. პროლეტარიატმა დაიწყო რუსეთში ეს დიდი განმათავისუფლებელი ომი. იგი შესძლებს განაგრძოს ეს ომი, იგი თვითონვე შექმნის რევოლუციონური არმიის რაზმებს, განამტკიცებს ჩვენს მხარეზე გადმოსულ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა რაზმებს, მიიზიდავს გლეხებს, ჩაუნერგავს ახლად გაწვეულ და სამოქალაქო ომის ცეცხლში გაწრთობილ რუსეთის მოქალაქეებს მთელი კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა გმირობას და აღფრთოვანებას".

—

წერილის ეს ნაწყვეტი ხელნაწერში წაშლილია, შეიძლება წერილის შესამოკლებლად, ადგილის უქონლობის გამო გაზეთ „პროლეტარ"-ში, სადაც იგი დაიბეჭდა 1905 წლის 10 ივლისის (27 ივნისის) ნომერში (თხზულებათა კრებული, ტ. 7 გვ. 179-387).

დიდი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიცია"

რუსეთის 1905 წლის რევოლუციას, როგორც კაცობრიობის ახალი მსოფლიო ისტორიის უდიდეს ფაქტორს, თავისი გრძელი ისტორია აქვს.

აქ ამ მოკლე მიმოხილვაში ჩვენ არ შევუდგებით იმ ნათელი ფაქტების გადმოცემას და ანალიზს, რომლებიც ეხებიან მუშების, ყმა-გლეხების და მონების წარსულ, შორეულ წარსულ მასიურ მოძრაობებს, თავიანთ მფლობელ-მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ყველგან—ამიერ-კავკასიაში, მთელს კავკასიაში და მრავალტომიანი და მრავალეროვნებიანი ყოფილი თვითმპყრობელური რუსეთის სხვადასხვა ტომებსა და ეროვნებებს შორის.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ყოფილი თვითმპყრობელური რუსეთის მთავარი ერის (თავისი უდავო უმრავლესობით)—ველიკოროსებს შორის წარსულში ადგილი ჰქონდა დიდ მასიურ მოძრაობებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სახალხო ბელადების —სტენკა რაზინის და ემელკა პუგაჩოვის სახელებთან. მშრომელ ყმებისა და მონების ეს სტიქიური მოძრაობა მეფისა, მემამულეებისა და სისხლის მსმელთა წინააღმდეგ, თითქოს გაუგრძელებელი დარჩა. თითქოს მან უშედეგოდ ჩაიარა.

შემდეგ იყვნენ ცალკე პირები, წრეები ჯგუფები და მთელი პარტიებიც კი (ასე უწოდებდნენ ისინი თავის თავს), რომელნიც ასე თუ ისე თავისებურად იბრძოდენ ბატონყმური თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ თავისუფლებისათვის, „მიწისა და უფლებისათვის". ასეთები იყვნენ მე-18 საუკუნის დამლევს და მე-19 საუკუნეში--რადიჩევი, დეკაბრისტები, პეტრაშეველები და ნაროდოვოლცები, და უკანასკნელთა საქმის შემდგომი განმგრძობნი—ესერები, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ვუწოდოთ შეგნებული კლასობრივი პარტიები და მათ მოძრაობას—შეგნებული კლასობრივი მოძრაობა.

აგრეთვე სოფლებშიაც ამა თუ იმ ფორმით და სიძლიერით ვითარდებოდა აგრარული მოძრაობა.

და აი, დაბოლოს, წარსული (მე-19) საუკუნის 80-იან წლების დამლევს, იმ მასიური საგაფიცვო მოძრაობის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ქალაქის პროლეტარები, მუშები, და აგრეთვე ახალგაზრდა სავაჭ.-სამრეწ. კაპიტალისტური თვითმპყრობელური რუსეთის ფაბრიკების, ქარხნების და რკ. გზების მუშები, ისახება და იწყება იმ მოწინავე მუშების კლასობრივ-მარქსისტული მოძრაობა, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევენ ქალაქისა და სოფლის უფართოესი მშრომელი მასების რევოლუციონურ მოძრაობას. სწორედ ამ მოძრაობამ ჩაუყარა საფუძველი პროლეტარიატის ნამდვილი კლასობრივი რევოლუციონური პარტიის—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის, ე. ი. ამჟამად საკავშირო კომპარტიის (ბოლშევიკებისა) უდიდესი მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის (ოქტომბერი) ბელადის—პირველ უჯრედებს.

ეს მოძრაობა, რასაკვირველია, იწყება ერთეული მარქსისტებით მე-19 საუკუნის მე-90-ე წლების მოწინავე მუშათა წრეებით და თავდება 1898 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის პირველ ყრილობით (მინსკში)...

იწყება ლენინის „ისკრა"-ს პერიოდი, რომელიც 1903 წელს თავდება რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეორე ყრილობით, რომელმაც მიიღო ახალი (მარქსისტულ-კლასობრივი) მუშათა პარტიის პროგრამა, საორგანიზაციო წესდება და ზოგიერთი სხვა ტაქტიკური რეზოლუციები.

მაგრამ სწორედ აქ ისახება და მალე საბოლოოდ ყალიბდება კულტურულ-ეკონომიურად ჩამორჩენილ თვითმპყრობელური რუსეთის მასიური მუშათა მოძრაობის წყეული მახინჯი შვილი—მენშევიზმი. თავისთავად ცხადია, მის წინააღმდეგ გამოდის და იბრძვის (ჯერ პარტიის შიგნით) რევოლუციონურ - სოციალიზმის-კომუნიზმის, ე. ი. მარქსიზმის წმინდა კლასობრივ-რევოლუციონურ იდეოლოგიისათვის, გადამწყვეტ და თანამიმდევრობითი კლასობრივი ბრძოლისთვის, რევოლუციის პროლეტარული წითელი დროშისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის მეორე ყრილობის უმრავლესობა. აი სწორედ ამიტომ ამ უმრავლესობის მომხრეებმა მიიღეს სახელწოდება მეუმრავლესობისა (ბოლშევიკებისა).

ჩვენს ბოლშევიზმში თავს იყრის მარქსის მოძღვრება კომუნისტურ მანიფესტსა და თეორიასა და პრაქტიკასთან ერთად, რომელიც შექმნეს მეცნიერული კომუნიზმის და დიალექტიური მატერიალიზმის ამ გენიალურმა მამამთავრებმა და პირველი ინტერნაციონალის ორგანიზატორებმა და ბელადებმა—მარქსმა და ენგელსმა,—ყოველივე ეს თავს იყრის ბოლშევიზმის პრაქტიკულ არალეგალურ და ლეგალურ მუშაობასა და ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ.

ბოლშევიზმის შექმნილია ჩვენი დაუვიწყარი ილიჩი, პროლეტარული რევოლუციის გენიალური ბელადი და საბჭოთა ხელისუფლების გამომჭედი, ძლევამოსილი ოქტომბრის ორგანიზატორი—ამხ. ლენინი.

ბოლშევიზმმა და ლენინმა, როგორც მისმა შემქმნელმა, შეითვისეს და შეისისხლხორცეს ყველა გაკვეთილები მასიურ-პროლეტარულ მოძრაობათა, როგორც, მაგალითად, 1793 წლის, პარიზის კომუნის (საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდი) და პარიზის მუშათა 148 წლის (ე. წ. თებერვლის რევოლუციის პერიოდი), „ივნისის სისხლის ღვრის" გაკვეთილები და, განსაკუთრებით, 1871 წლის დაუვიწყარი დიადი პარიზის კომუნის—პროლეტარიატის პირველი კლასობრივი დიქტატურის—გაკვეთილები.

აი რატომ ეწოდება ამჟამად რევოლუციონურ მარქსიზმს ანუ მეცნიერულ კომუნიზმს—ლენინიზმი. საკავშირო კომპარტია (ბოლშევიკებისა) და მთელი კომინტერნი ყველა თავისი სექციებით სუნთქავენ და ხელმძღვანელობენ მხოლოდ და მხოლოდ ლენინიზმით.

ეხლა მოკლედ, სქემატიურად განვიხილოთ როგორი იყო ლენინიზმის პრაქტიკა 1917 წლის დიადი ოქტომბრის „გენერალურ რეპეტიციაში", ე. ი. 1905 წლის რევოლუციაში, რომლის 25 წლის თავს ჩვენ ეხლა აღვნიშნავთ.

* * *

პირველი რევოლუცია თვითმპყრობელურ რუსეთში—1905 წლის რევოლუცია არსებითად იწყება 22 (9) იანვრის შემდეგ, თუმცა მისი ნიშნები წინადაც სჩანდა სხვადასხვა ადგილას, განსაკუთრებით განაპირა მხარეებში. იანვრიდან ოქტომბერ-დეკემბრამდე, „სისხლიანი კვირის" შემდეგ მთელს რუსეთს მოედო მასიურ-პოლიტიკურ გაფიცვების ტალღა: მაგალითად, აჯანყება შავ ზღვაზე (ჯავშნოსანი „პოტიომკინი) და ოდესის ამბები, სისხლიანი 29 აგვისტო თბილისში, გაფიცვები ბათომში, ბაქოში და თვით სოფლებშიაც კი, როგორც მაგალითად გურიაში, გაფიცვები, რომლებმაც აჯანყების ხასიათი მიიღეს და სხვ. თვითმპყრობელობა შეშინდა და თითქოს იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. იწყება ბულიგინის სათათბიროს პერიოდი.

მენშევიკები ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ერთად მზად არიან დაკმაყოფილდენ ამ ნასუფრალით. თვითმპყრობელობის აგენტები ცდილობენ ამიერ-კავკასიის ეროვნებათა ჩამორჩენილ მასების გამოყენებას.

და აი, იწყება სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტა ბაქოში და თბილისში. და მხოლოდ ბაქოს და თბილისის პროლეტარიატის ენერგიული ჩარევა ბოლოს უღებს ცარიზმის ამ საზიზღარ პროვოკაციას.

დგება 1905 წლის ოქტომბერი: ყველგან გაფიცვებია, გაფიცვები მათ შორის ამიერ-კავკასიის ყველა ადგილებში, ხოლო იქ, შორეულ აღმოსავლეთში გრძელდება რუსეთ-იაპონიის საზიზღარი ომი, რომელმაც ასე მკაფიოდ გამოაშკარავა თვითმპყრობელურ-ფეოდალურ რუსეთის გაკოტრება. დგება 1905 წლის ოქტომბერი. იწყება საყოველთაო გაფიცვა და რკ. გზ. გაფიცვა ვარშავიდან ვლადივოსტოკამდე და ჰელსინგფორსიდან თბილისამდე და ტაშკენტამდე. საგაფიცვო კომიტეტები იქცევიან მუშათა დეპუტატების პირველ საბჭოებად. ხოლო ზოგიერთ ადგილებში, მაგალითად, კრასნოიარსკში იაპონიის ფრონტიდან დაბრუნებული გაბოროტებული ჯარისკაცები უერთდებიან მუშებს და ადგენენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს.

ყველაზე პირველია პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო. იგი საბოლოოდ არყევს საზიზღარი თვითმპყრობელობის სიმტკიცეს. თუმცა ერთ-ერთმა სისხლის მსმელმა ჯალათმა ტრეპოვმა გამოსცა ბრძანება „ჰაერში არ ისროლოთ, ტყვიები არ დაზოგოთ"-ო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ცხადდება 17 ოქტომბრის მანიფესტი, ვინაიდან ძველი რეჟიმი დამფრთხალია და დიდ მერყეობას იჩენს.

მთელს რუსეთში იმართება გრანდიოზული და მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭომ გამოსცა დეკრეტი ფაბრიკებსა და ქარხნებში რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისა და მოსახლეობისათვის სხვა თავისუფლებათა მინიჭების შესახებ. პოლონეთში გამოცხადდა სამხედრო წესები, კრონშტადტში დაიწყო აჯანყება. მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ გამოსცა დეკრეტი ახალი საყოველთაო გაფიცვის შესახებ. მთელს რუსეთში იწყება ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა. პეტერბურგში აპატიმრებენ მუშათა დეპუტატების საბჭოს, რომლის ნაცვლად არჩეულ იქნა მეორე საბჭო. მოძრაობა კულმინაციურ წერტილს აღწევს და შეიარაღებული აჯანყებისა და საბარიკადო ბრძოლის სახეს ღებულობს მოსკოვის ქუჩებში. „კრასნაია პრესნია" (მოსკოვში) უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავს რევოლუციის ინტერესებს. თბილისში ეწყობა საგაფიცვო კომიტეტი, რომელიც რამდენიმე დღეს მოქმედებს როგორც მუშათა დეპუტატების საბჭო; იგი ხელში იღებს რკინის გზას და ბაქოსთან ერთად რევოლუციის ფრონტს უსწორებს მოსკოვს—დეკემბრის აჯანყებას. თვითმპყრობელობა, რომელიც იძულებულია მოიწვიოს ახალი სათათბირო გაფართოებული უფლებებით მუშებისა და გლეხებისათვის, ამავე დროს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" და სხვა შავრაზმული ორგანიზაციების საშუალებით აწყობს ებრაელთა დარბევას სამხრეთ რუსეთში. თვითმპყრობელობამ, რასაკვირველია, მოახერხა დეკემბრის აჯანყების ჩაქრობა, რაც აიხსნება მუშათა ზოგიერთ ფენების დაღლილობით და ჯარისკაცთა ფარაჯაში გახვეულ გლეხთა მასების ჩამორჩენილობით. მეორე სარკინიგზო გაფიცვის დროს ნიკოლაევსკის რკინის გზამ არ მიიღო გაფიცვებში მონაწილეობა და ცარიზმმა მოახერხა სემიონოვის პოლკის გადმოყვანა მოსკოვში რევოლუციონური ბარიკადების დასარბევად.

ამის შემდეგ დაიწყო რენენკამფების, რიმანოვების, მინოვების, ალიხანოვების, ტოლმაჩოვების და სხვ. დამსჯელი სისხლიანი ექსპედიციები. ქალაქები და სოფლები აივსო რევოლუციის მსხვერპლებით.

ასეთია დახლოვებით სურათი 1905 წლის დიდი რევოლუციისა დიადი ძლევამოსილი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიციისა", რომლის 25 წლის თავს ამჟამად ვდღესასწაულობთ. ეხლა გადავიდეთ ამ რევოლუციის გაკვეთილების და მისი მამოძრავებელ ძალთა ანალიზზე.

* * *

ლენინი ამბობს:—1905 წლის გენერალური რეპეტიციის გარეშე 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდაო.

..ატომ? ვუპასუხოთ თვით ლენინისავე სიტყვებით:

„1905 წლის რევოლუციაში ყველა კლასები გამოვიდნენ აშკარად. მათ დაგვანახვეს თავი საქმეში, გამოამჟღავნეს როგორია მათი ნამდვილი მისწრაფებანი, რისთვის შეუძლიათ მათ ბრძოლა და რამდენად ძლიერად, მედგრად და ენერგიულად შეუძლიათ მათ ბრძოლა".

მაშასადამე კლასებმა გამოამჟღავნეს თავიანთი ბუნება მათი ინტერესების გამომხატველი პარტიების სახით. აქ იყვნენ მემარჯვენე შავრაზმელები, რომელნიც იცავდენ შეუზღუდავი თვითმპყრობელობის და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესებს; შემდეგ ოქტიაბრისტები, რომელნიც აგრეთვე იცავდნენ თავადაზნაურული მიწადმფლობელობის და მსხვილი კაპიტალის ინტერესებს და მონარქიის არსებობას იმ პირობით, თუ ისინი მონაწილეობას მიიღებდენ ხელისუფლებაში და ხალხის ძარცვაში; დაბოლოს კადეტები— ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენელნი, რომელნიც ხალხის შიშით ზოგჯერ, ვითომდა, მხარს უჭერდენ რესპუბლიკას, მაგრამ არ მიდიოდენ მონარქიის წინააღმდეგ ოღონდ კი შექმნილიყო რუსეთში მტკიცე ბურჟუაზიული რეჟიმი. რასაკვირველია, ამ პარტიას ახასიათებს რუსეთის საზღვრების იმპერიალისტური გაფართოების და ახალი ბაზრებისა და კოლონიების დაპყრობის ყველა ტენდენციები. იგი თანახმა იყო აგრეთვე თავისებურად გადაეჭრა აგრარული საკითხი, ე. ი. მიწის გამოსყიდვის საშუალებით მიწადმფლობელებისათვის „სამართლიანი" ფულადი ჯილდოს მიცემით სახელმწიფოს ხარჯზე, ე. ი. იმავე მშრომელთა ხარჯზე.

ეს იყო ბურჟუაზიული ბანაკი. ამ ბანაკის წინააღმდეგ მუშათა საქმისათვის, მართლაც რომ მიწისა და უფლებისათვის, მთელი მსხვილი მიწადმფლობელობის კონფისკაციისა და მიწის ნაციონალიზაციისათვის იბრძოდა ბოლშევიკთა პროლეტარული პარტია ლენინის მეთაურობით.

იანვრის „სისხლიანი კვირის" შემდეგ იგი, როგორც იტყვიან, მიერეკებოდა რევოლუციის ერთი საფეხურიდან მეორემდე, პოლიტიკურ გაფიცვისა და დემონსტრაციიდან დეკემბრის შეიარაღებულ აჯანყებამდე, ცდილობდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ გლეხურ რევოლუციის ბოლომდე მიყვანას პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ე. ი. ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის გამოცხადებას. თავის მესამე ყრილობაზე მან მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელება რუსეთში შესაძლებელია მხოლოდ იმ ძლევამოსილ სახალხო აჯანყების შედეგად, რომლის ორგანო იქნება დროებითი რევოლუციონური მთავრობა. მხოლოდ ამ მთავრობას შეუძლია უზრუნველყოს აგიტაციის სრული თავისუფლება"...

ლენინი მეორე ადგილას ამბობს:

„რევოლუციის გამარჯვება სწორედ დიქტატურა იქნება, ე. ი. იგი აუცილებლად უნდა დაეყრდნოს სამხედრო ძალას, შეიარაღებულ მასებს, აჯანყებას და არა ამა თუ იმ „საბანაკო", მშვიდობიანი გზით შექმნილ დაწესებულებებს. ეს შეიძლება იქნეს მხოლოდ დიქტატურა იმიტომ, რომ იმ ცვლილებათა განხორციელება, რომლებიც დაუყოვნებლივ და აუცილებლად საჭიროა პროლეტარიატისა და გლეხობისათვის, გამოიწვევს სასტიკ წინააღმდეგობას მემამულეების, მსხვილი ბურჟუაზიის და ცარიზმის მხრით. დიქტატურის გარეშე შეუძლებელია ამ წინააღმდეგობის დაძლევა, კონტრრევოლუციონური ცდების აღმოფხვრა".

ბურჟუაზიულ ბანაკსა და პროლეტარულ ბანაკს შორის იდგენ წვრილბურჟუაზიული ფენები, წვრილი ბურჟუაზია, რომლის ჭეშმარიტი წარმომადგენელნი იყვნენ მენშევიკები და ესერები ე. წ. „სახალხო სოციალისტების" სხვადასხვა კატეგორიებით, რომელნიც ემხრობოდენ კადეტებს. წვრილი ბურჟუაზია საერთოდ მერყეობას იჩენს რევოლუციაში. ასეთი პარტიები, ასეთი წარმომადგენელნი, რომელნიც ამავე დროს შეპყრობილნი იყვნენ ევროპის რევიზიონიზმით, რეფორმიზმით და საზიზღარი რენეგატული ოპორტუნიზმით, გამოდიოდნენ შეიარაღებულ აჯანყების წინააღმდეგ, ე. ი. რევოლუციის გამარჯვებამდე მიყვანის, პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის გამოცხადების წინააღმდეგ. მათ ტროცკისთან ერთად არ ესმოდათ 1905 წლის რევოლუციის სპეციფიური თავისებურობანი, იმ რევოლუციის, რომელსაც უნდა მოესპო საშუალო საუკუნის თავადაზნაურულ გლეხური წყობილების ნაშთები ცარიზმთან ერთად და პროლეტარიატისა და გლეხობის დიქტატურის საშუალებით ნიადაგი მოემზადებინა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადასაქცევად სოციალისტურ რევოლუციად პროლეტარიატის დიქტატურის და სოციალიზმის მშენებლობის პროგრამით, მათ არ ესმოდათ, რომ ჯერ მუშათა კლასმა გლეხობასთან ერთად უნდა მოახდინოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალება და ბოლო მოუღოს ბურჟუაზიულ-ლიბერალურ ოპოზიციის თვითმპყრობელობის მიმართ, მათ არ ესმოდათ, რომ ერთია რევოლუციის ხასიათი, ხოლო მეორე რევოლუციის მამოძრავებელი ძალები, ვინაიდან 1905 წლის რევოლუცია თავისი ხასიათით ბურჟუაზიული იყო, მაგრამ მისი გამარჯვებამდე მიყვანა შეეძლოთ მხოლოდ მუშებს, რომელნიც ხელმძღვანელობას გაუწევდენ გლეხობის აჯანყებას აგრარულ რევოლუციაში. მათ არ ესმოდათ, რომ გლეხობაში სწარმოებს ორი ომი: ერთი—ბატონყმური თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ხოლო მეორე—თვით გლეხობას შორის მოჯამაგირეების, ღარიბ გლეხების და ყველა მშრომელთა ომი პროლეტარიატის ხელმძღვანელობით სოფლის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც მსხვილი კაპიტალის კუდში მისჩანჩალებს. მათ არ ესმოდათ, რომ რუსეთის პირველ რევოლუციას (1905 წელს) ახასიათებს ერთი მეორის საწინააღმდეგო პირობები. სახელდობრ იმ დროს, როცა რუსეთში განვითარებულია მსოფლიო კაპიტალიზმის უმაღლესი ფორმა, მასთან არის აგრეთვე საშუალო საუკუნის ბატონყმობის ჩამორჩენილი ფორმები.

მაშასადამე, გამოსავალი უნდა იყვეს ან რუსეთის იმპერიალიზმის მსოფლიო კოლონიალური პოლიტიკის განვითარებით ახალი ბაზრების დასაპყრობათ და დამშეული, გაღატაკებული გლეხობის გადასასახლებლად, ან ძლევამოსილ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და სხვ. მათ არ ესმოდათ, რომ რუსეთის გლეხობა (მშრომელი) არ ჰგავს, საერთოდ, გლეხობას, როგორიც ის იყო დასავლეთ ევროპის დიდ და პატარა რევოლუციებში, მე-20 საუკუნეში იგი სრულიად სხვანაირია და სხვა როლს თამაშობს რუსეთში.

სავსებით სამართლიანი და დიალექტიურია ამხ. ლენინის შემდეგი სიტყვები:

„თუ მე-16 საუკუნის გერმანიისათვის, მე-17 საუკუნის ინგლისისათვის და მე-13 საუკუნის საფრანგეთისათვის გლეხობა შეიძლება დავაყენოთ პირველ რიგში, მე-20 საუკუნის რუსეთში აუცილებლად საჭიროა შევაბრუნოთ ურთიერთობა, ვინაიდან პროლეტარიატის ინიციატივისა და ხელმძღვანელობის გარეშე გლეხობა არაფერს არ წარმოადგენს".

და შემდეგ კიდევ ამხ. ლენინი ამბობს:

„ისტორიის დიალექტიკამ მოახდინა ის, რომ გლეხობა, რომელიც სხვა ქვეყნებში ცოტათ თუ ბევრად მოწესრიგებულ (კაპიტალიზმის მოთხოვნათა თვალსაზრისით) სადგილ-მამულო წყობილების დროს არსებული რეჟიმის დასაყრდენს წარმოადგენს,—რუსეთში რევოლუციის დროს გამოვიდა გამანადგურებელი მოთხოვნებით თვით მემამულეთა მიწების კონფისკაციამდე და მიწის რაციონალიზაციამდე ტრუდოვიკები (პირველი და მეორე სათათბიროში). ეს რადიკალური და მეშჩანური სოციალიზმის იდეებით შეფერადებული მოთხოვნები ნაკარნახევი იყო არა „სოციალიზმით", არამედ იმ ეკონომიური აუცილებლობით, რომელიც მოითხოვდა ბატონყმურ მიწადმფლობელობის გადახლართული კვანძის გაჭრას და თავისუფალ ფერმერისათვის (გზის გაკვალვას საშუალო საუკუნოების ამ ზღუდეებისაგან განთავისუფლებულ მიწაზე".

1905 წლის რევოლუციაში საბჭოების შექმნა, წარმოადგენდა რევოლუციონური ხელისუფლების ახალ ფორმას, რაც შეითვისა და განავითარა 1917 წლის ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ.

აი, რას ამბობს ლენინი საბჭოების მნიშვნელობაზე:

„დავა საბჭოების მნიშვნელობის შესახებ მაშინ უკვე დაკავშირებული იყო დიქტატურის საკითხთან. ბოლშევიკებმა ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე დასვეს საკითხი დიქტატურის შესახებ. მენშევიკები დიქტატურის ამ ლოზუნგს უარყოფითად უყურებდენ, ბოლშევიკები ხაზგასმით აღნიშნავდენ, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები ფაქტიურად ახალი რევოლუციონური ხელისუფლების ჩანასახს წარმოადგენენ, როგორც სიტყვა-სიტყვით ნათქვამია ბოლშევიკური რეზოლუციის პროექტში. მენშევიკები სცნობდენ საბჭოების მნიშვნელობას, მხარს უჭერდენ მათ შექმნას და სხვ., მაგრამ არ სთვლიდენ მათ რევოლუციონური ხელისუფლების ჩანასახად, არ ლაპარაკობდენ საერთოდ „ახალი რევოლუციონური ხელისუფლების შესახებ".

ერთი სიტყვით, დიდი ოქტომბრის „გენერალურმა რეპეტიციამ"— 1905 წლის რევოლუციამ მოგვცა რევოლუციონური გმირობისა და თავგანწირვის უდიდესი მაგალითი და მიუხედავად ურიცხვი და დაუსრულებელი მსხვერპლისა „მასების უშუალო რევოლუციონური ბრძოლაში". და 1905 წლის ოქტომბრის და დეკემბრის ბრძოლაში—ლენინის სიტყვით —მუშათა პარტია ხედავს პროლეტარიატის უდიდეს მოძრაობას კომუნის შემდეგ. მხოლოდ ასეთ ფორმების განვითარება წარმოადგენს რევოლუციის მომავალ გამარჯვებათა თავდებს. ეს ნიმუშები გზას უნდა გვინათებდეს ჩვენ მებრძოლთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში".

და ეს გაკვეთილი ჩვენ გამოვიყენეთ და ვიყენებთ მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე—საბჭოთა კავშირში.

მაგრამ მათი მნიშვნელობა ისეთი დიდი და უნივერსალურია, რომ ამ მაგალითებით უნდა ისარგებლონ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის და მშრომელ მასების ყველა მებრძოლებმა და მათმა ბელადებმა კომინტერნის ყველა სექციების, ე. ი. ყველა ქვეყნის მოძმე კომპარტიების სახით.

„ჩვენ—სწერდა ლენინი, — პრაქტიკულ ლოზუნგებს უნდა ვიძლეოდეთ არა მარტო რევოლუციის ევროპაში გადატანის შემთხვევისათვის, არამედ ასეთი გადატანისათვისაც".

რუსეთის რევოლუციის თავისებურობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ იგი თავისი სოციალური შინაარსით იყო ბურჟუაზიულ- დემოკრატიული, ხოლო ბრძოლის საშუალებებით პროლეტარული. იგი იყო ბურჟუაზიულ- დემოკრატიული, ვინაიდან მიზანი რომლისკენაც ის უშუალოდ მიისწრაფოდა და რომლის მიღწევაც მას შეეძლო უშუალოდ თავისი საკუთარი ძალებით, იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, თავადაზნაურობის ვეებერთელა მსხვილ მიწადმფლობელობის კონფისკაცია და ყველა ზომები, რომლებიც თითქმის სავსებით განახორციელა 1792-93 წლების ბურჟუაზიულმა რევოლუციამ საფრანგეთში.

რუსეთის რევოლუცია, ამასთან ერთად, იყო პროლეტარული არა მარტო იმ მხრივ, რომ პროლეტარიატი მოძრაობის ხელმძღვანელ ძალას, ავანგარდს წარმოადგენდა, არამედ აგრეთვე იმ მხრივაც, რომ ბრძოლის სპეციფიური პროლეტარული საშუალება, სახელდობრ გაფიცვა იყო მასების ამოძრავების მთავარი საშუალება და ყველაზე დამახასიათებელი მოვლენა გადამწყვეტ ამბების ტალღისებურ განვითარებაში.

ამ დიად საზეიმო დღეებში, როცა ჩვენ ვიბრძვით პარტიის გენერალური ხაზისათვის, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის და უკანასკნელის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის, ხუთწლედის მაქსიმალური ბოლშევიკური ტემპების განხორციელებისათვის ოთხ წელიწადში და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის გაძლიერებისათვის, ვიბრძვით გამსეცებული საერთაშორისო ფაშისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ სოციალ-ფაშისტებთან ერთად, —სწორედ ამ დღეებში ჩვენ ვდღესასწაულობთ 1905 წლის დიდი რევოლუციის 25 წლის თავს, იმ რევოლუციის, რომელმაც ჩვენ ამდენი გაკვეთილი მოგვცა და რომელიც მართლაც რომ 1917 წლის დიადი ძლევამოსილი ოქტომბრის „გენერალური რეპეტიცია" იყო.

ვისურვოთ, რომ დასავლეთ ევროპის და მთელი ქვეყნის ჩვენი მოძმე კომპარტიებმა რაც შეიძლება ჩქარა გამომსჭვალულმა 1905 წლის მებრძოლ გმირების ენტუზიაზმით, შეითვისონ ამ დიადი რევოლუციის და 1871 წლის პარიზის კომუნის გაკვეთილები და აგრეთვე ბოლშევიზაციის მეთოდები და უკანასკნელი გადამწყვეტ ბრძოლა გაუმართონ ძირგამპალ მსოფლიო კაპიტალს და მტაცებლურ საერთაშორისო იმპერიალიზმს მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვებისათვის.

გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს.

გაუმარჯოს 1905 წლის რევოლუციის დიად მებრძოლთა სახეებს, რომელნიც როგორც გაზაფხულის ნორჩი მშვენიერი ყვავილნი ცოცხლობენ ჩვენს მეხსიერებაში, გაუმარჯოს 1871 წლის პარიზის კომუნის გმირ კომუნარებს, რომელთაც იერიში მიჰქონდათ კაპიტალისტურ სამყაროს წინააღმდეგ.

დაე მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისათვის 1905 წლის რევოლუცია მალე გახდეს „გენერალურ რეპეტიციად", როგორც იყო იგი (და არის) 1917 წლის ძლევამოსილი ოქტომბრისათვის.

მიხა ცხაკაია.

1905 წლის სოჭის რესპუბლიკა

1905 წ. მე ვცხოვრობდი **სოჭაში,** სადაც ვმუშაობდი მემანქანედ. 17 ოქტომ. მანიფესტის გამოცხადების შემდეგ დავიწყე მიტინგებზე და კრებებზე სიარული, სადაც ვისმენდი ამხანაგების— **ავქსენტი გვათუას, პოიარკოს, მიხაკო ორმოცაძის, გიორგი ხუციშვილის,** კონიაევისა და სხვების სიტყვებს. ორატორები მოუწოდებდნენ დამსწრეთ თვითმპყრობელობის დამხობისაკენ.

ნოემბერში მოეწყო მილიცია ამხ. **ოდინცოვის** მეთაურობით. მილიცია 30—40 კაცისაგან შესდგებოდა. შავრაზმელებისა და პოლიციის თავდასხმისაგან დასაცავად ეს ღონისძიება საკმარისი არ იყო. დეკემბერში დაიწყო რაზმების შედგენა. მებრძოლი რაზმების ორგანიზატორებად ითვლებოდნენ: ავქსენტი გვათუა, პოიარკო, პროკოფი ჯანაშია, ანდრია ჩიტაია, კონიაევი და სხვ... ჩვენ შევუდექით მზადებას თვითმპყრობელობის დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის და დავიწყეთ რევოლუციონური რაზმების სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოყვანა სოჭაში. მაგალითად, გაგრიდან, ამხ. გვათუას წინადადებით, მოვიდა მებრძოლთა რაზმი 50—60 კაცამდე— ამხ. ჯაიანის მეთაურობით. 28 დეკემბერს ხოსტიდან ჩამოვიდა შეიარაღებული რაზმი. ამ დღეს ჩვენ პირველად დაგვესხნენ სტრაჟნიკები. ჩვენ იძულებული გავხდით მონაწილეობა მიგვეღო ქუჩის ბრძოლაში. ბრძოლა გაგრძელდა დაბინდებამდე. მტერი შედრკა და უკან დაიხია. ჩვენი მხრით მოკლული და დაჭრილი აღმოჩნდა რამდენიმე კაცი. მტრის მსხვერპლი კი გაცილებით მეტი იყო. ჩვენ ხელთ ვიგდეთ მრავალი ცხენი, ვინაიდან თავდამსხმელები ცხენოსნები იყვნენ. მთელმა საოლქო ხელისუფლებამ სტრაჟნიკების, პოლიციელების, ბოქაულების, ჟანდარმებისა და დანარჩენთა თანხლებით დაიხია ყაზარმებისაკენ და აქ შეუერთდა ქალაქში დაბანაკებულ ქვეითი ჯარს. ჩვენ შევუდექით ბარიკადების აგებას და აგრეთვე გავგზავნეთ რამდენიმე ამხანაგი ოლქის სხ. და სხ. რაიონში რაზმების შესადგენად. მეორე დღეს ჩვენ თვითონ დაუწყეთ სროლა ყაზარმებს. ბრძოლა გრძელდებოდა რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტლად. მოვიტანეთ ზღვის პირად გდებული ძველი ზარბაზანი, მოვიწვიეთ ზეინკლები, შევაკეთეთ და დავდგით ჩვენს მთავარ პოზიციაზე. ზარბაზანში ვყრიდით გირებს, რომლებიც ვაჭრებს ჩამოვართვით, აგრეთვე რკინის ჯაჭვების ნაჭრებს და ასე ვისროდით. 1906 წლის 1 იანვარს პოლიციელები დავატყვევეთ და ჩავსვით საკნებში. მე, სხვებთან ერთად, გამოყოფილი ვიყავი ტყვეების მცველად. ჩვენი უფროსი იყო ამ დროს ამხ. პროკოფი ჯანაშია, რომელსაც დავალებული ჰქონდა ტყვეების, რამდენიმე ასი კაცის, დაცვა. მათ შორის იყვნენ: ოლქის უფროსი, ბოქაულები, პოლიციელები, სტრაჟნიკები, ჟანდარმები და შავრაზმელები. ისინი რამდენიმე დღეს გვყავდა ჩვენ ტყვედ. შემდეგ მოვიდა სამხედრო ფლოტი და მოითხოვა ტყვეების გაცემა. ამხანაგები დასთანხმდნენ ტყვეების გაცემას. შემდეგ მოგვთხოვეს სახაზინო ფულის 150.000 მანეთის გაცემა, რაც ჩვენ მიერ ბრძოლის დროს იქნა ჩამორთმეული. თუმცა ბევრს არც კი უნდოდა ამ ფულის დაბრუნება, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდით ეს ფული ჩაგვებარებინა. მეორე დღეს გადმოსხმულ იქნა დიდი დესანტი და მოგვიკლეს რამდენიმე ამხანაგი: **ივანე ბალუთურია და ათანასე კუცია.** ჩვენ იძულებული გავხდით იარაღით ხელში დაგვეხია მთებისაკენ, სხვა გზა არ იყო.

ამგვარად, რამდენიმე დღის განმავლობაში 1905 წელს არსებობდა **„სოჭის რესპუბლიკა",** სადაც ხელისუფლება მთელს ოლქში ეკუთვნოდა რევოლუციონურ მთავრობას ბოლშევიკ **ავქსენტი გვათუას** მეთაურობით.

საქართველოს თამბაქოს ტრესტის საბაზი სოჭის სო საწყობის მუშა **ანდრო ხურცია.**

1905 წლის დეკემბრის აჯანყების 25 წლისთავი

მოსკოვი, 19 დეკემბერი. 1905 წლის დეკემბრის აჯანყების თავის 25 წლის რევოლუციონური იუბილეისათვის „ტრეხგორკა"-ს უდიდესი მიღწევები აქვს სოციალისტური ხუთწლედისათვის ბრძოლის ფრონტზე: დაკვრითი კვარტალის პირველი ორი თვის სამრეწველო-საფინანსო გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით. ფაბრიკაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ახალი ტალღა; შექმნილია 1905 წლის სახელობის 7 ახალი ბრიგადა. 37 საუკეთესო დამკვრელი პარტიაში შევიდა. ფაბრიკის ეზოში, მუშების დახვრეტის ალაგას, სდგამენ ბარელიეფს და მემორიალურ დაფას.

„კრასნოპრესნენს" რაიონულმა ორგანიზაციებმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს ფაბრიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. საქარხნო ორგანიზაციებმა დასაჯილდოებლად წარადგინეს დეკემბრის აჯანყების აქტიური მონაწილეები (ადს).

პეტერბურგის პირველი მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრების კრება

ლენინგრადი, 19 დეკემბერი. პეტერბურგის მუშათა დეპუტატების პირველ საბჭოს დაპატიმრების 25 წლის თავზე, ბეჭდვითი სიტყვის სახლში შესდგა 1925 წლის საბჭოს წევრების კრება.

კრებას თავისი მოგონებები გაუზიარა ლენინის თანამებრძოლმა, პეტერბურგის ერთ-ერთმა უძველეს მუშა-რევოლუციონერმა ამხ. შელგუნოვმა (ადს).

ფართოდ გამოვიყენოთ 1905 წლის გამოცდილება

ძველ მენშევიზმის, დღეს სოციალ-ფაშიზმის თანდაყოლილი მოღალატური ბუნების გამოაშკარავებისათვის, მასების დარაზმვისათვის იმპერიალისტური ინტერვენციის წინააღმდეგ, ახალი თაობის ბოლშევიკურად აღზრდისათვის

დეკემბრის აჯანყება მოსკოვში

დეკემბრის აჯანყების შესახებ ამხ. ლენინი სწერდა: „თავის მწვერვალს 1905 წლის რევოლუციამ მიაღწია მოსკოვის დეკემბრის აჯანყებაში. აჯანყებულების, სახელდობრ შეკავშირებულ შეიარაღებულ მუშების მცირე ჯგუფი,—ისინი 8,000 კაცს არ აღემატებოდნენ, — 9 დღის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა მეფის მთავრობას, რომელიც ვერ ენდობოდა მოსკოვის გარნიზონს, პირიქით, იძულებული იყო ჩაკეტილში ჰყოლოდა იგი, და მხოლოდ პეტერბურგიდან სემიონოვის პოლკის გამოსვლის წყალობით შესძლო მან აჯანყების ჩაქრობა... ნამდვილად, რუსეთის რევოლუციის მთელი განვითარება აუცილებლად იწვევდა შეიარაღებულ, გადამწყვეტ ბრძოლას მეფის მთავრობასა და კლასობრივ, შეგნებულ პროლეტარიატის ავანგარდს შორის".

თავის წერილში „მოსკოვის 1905 წლის აჯანყების გაკვეთილები" ამხ. ლენინი ამბობს: „დეკემბრის აჯანყების გამოცდილების შეთვისება მუშათა პარტიის გადაუდებელი ამოცანაა... დეკემბრის აჯანყებამ მოსკოვში ცხადჰყო, რომ საყოველთაო გაფიცვამ როგორც ბრძოლის დამოუკიდებელმა და მთავარმა ფორმამ, თავისი დრო მოჭამა, რომ მოძრაობა სტიქიურად, შეუჩერებელი ძალით არღვევს ამ ვიწრო ჩარჩოებს და ქმნის ბრძოლის უმაღლეს ფორმას—აჯანყებას".

იმავე წერილში ამხ. ლენინი სწერდა: „შეტევა მტერზე უნდა იქნეს რაც შეიძლება ენერგიული; თავდასხმა და არა თავდაცვა უნდა იქცეს მასების ლოზუნგათ, მტრის გადაჭრით განადგურება მათ ამოცანათ გადაიქცევა; ბრძოლის ორგანიზაცია იქნება მოძრავი და მოქნილი; ჯარის მერყევი ელემენტები ჩაებმებიან აქტიურ ბრძოლაში. შეგნებული პროლეტარიატის პარტიამ უნდა შეასრულოს თავისი მოვალეობა დიად ბრძოლაში".

პირველ შეიარაღებულ აჯანყებას რუსეთში ლენინის პარტია უწევდა ხელმძღვანელობას. ჯერ კიდევ 1905 წლის ჩვენი პარტიის მოსკოვის კომიტეტის ხელმძღვანელობით მოსკოვში მოეწყო მებრძოლი რაზმი, მაგრამ საბოლოოდ იგი ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ ჩამოყალიბდა.

7 დეკემბერს ყველა პარტიული ძალები ფაბრიკა-ქარხნებში გაიგზავნა.

„12 საათზე, — მოგვითხრობს ამხ. ვასილიევ-იუჟინი, — ბევრ ფაბრიკა-ქარხანაში გაისმა საყვირის საზეიმო მძლავრი ხმა, მეტწილ სადგურებზე აკივლდნენ ლოკომოტივები, — ეს მუშათა მოსკოვი იწვევდა ბრძოლაში მეფის და კაპიტალის საზიზღარ თვითმპყრობელობას. გაფიცვა დაიწყო".

იმავე დღეს შეიკრიბა სხვადასხვა პარტიათა ფედერატიული კომიტეტი საკითხების განსახილველად, თუ როგორ უნდა დაწყებულიყო შეიარაღებული აჯანყება, როგორ უნდა მიგვემხრო ჯარი და სხვა. გადაწყდა ფედერატიულ კომიტეტთან სამხედრო საბჭოს შექმნა სამხედრო ორგანიზატორების და მებრძოლი რაზმების უფროსების მონაწილეობით. იმავე დღეს საღამოს გამოვიდა: „მუშათა დეპუტატის მოსკოვის საბჭოს უწყებები"-ს პირველი ნომერი, რომელშიაც გამოქვეყნებული იყო მოწოდება ყველა მუშებისა, ჯარისკაცებისა და მოქალაქეებისადმი. მოწოდებაში, რომელიც მეფის მთავრობის ბოროტმოქმედებებს ასწერდა, ნათქვამი იყო: „რევოლუციონური პროლეტარიატი მეტს ველარ აიტანს მეფის მთავრობის, დაცინვას და ბოროტმოქმედებას და დაუზოგავ და გადამწყვეტ ომს უცხადებს მას...:

ამხანაგო ჯარისკაცებო, თქვენ — ჩვენი ღვიძლი ძმები, ჩვენთან ერთად ერთი დიდის, მრავალტანჯულ რუსეთის შვილები ხართ. ამჟამად, როცა პროლეტარიატი ხალხის საზიზღარ მტერს გადამწყვეტ ომს უცხადებს, თქვენც გაბედულად და თამამად იმოქმედეთ. ნუ დაემორჩილებით თქვენს სისხლისმსმელ უფროსებს. გაამევეთ ისინი და დააპატიმრეთ; აირჩიეთ თქვენი წრიდან სამხედრო ხელმძღვანელები და იარაღით ხელში შეუერთდით აჯანყებულ ხალხს. მუშათა კლასთან ერთად ეცადეთ მუდმივი არმიის დაშლას და მთელი ხალხის შეიარაღებას, ეცადეთ სამხედრო სასამართლოების და სამხედრო წესების გაუქმებას".

ჯერ კიდევ გაფიცვის გამოცხადებამდე, 2 დეკემბერს როსტოვის პოლკის ჯარისკაცებმა მოაწყვეს მიტინგი, რომელსაც ზოგიერთი სხვა პოლკის დეპუტატებიც დაესწრნენ. ორატორებს ენტუზიაზმით შეხვდნენ და მიღებული იქნა გადაწყვეტილება: იყვნენ მზად ქუჩაში გამოსვლისათვის.

ჩვენი პარტიის კომიტეტში დაიბადა საკითხი ჯარისკაცების მღელვარების გამოყენების და აჯანყებისაკენ მოწოდების შესახებ. კომიტეტს მესანგრეთა წარმომადგენლებმაც მიმართეს წინადადებით — დახმარება გაეწიათ მუშებისათვის არსენალის ასაღებად. მაგრამ ხმის უმრავლესობით კომიტეტმა გადასწყვიტა მოეცადა რამდენიმე დღე და გამოეთხოვა ცენტრალური კომიტეტისაგან დირექტივები.

ჯარისკაცების მღელვარებამ მოსკოვის მთავრობა დააფრთხო. გრადონაჩალნიკმა დეპეშით აცნობა მინისტრს, რომ „როსტოვის პოლკი მთლიანად აჯანყებულია, ნესვიჟის პოლკში და მესანგრეთა ბატალიონში ძლიერი მღელვარებაა, ჯარის დანარჩენი ნაწილები არ არიან საიმედო სამხედრო ამბოხების მომენტისათვის, ასე რომ დიდი ქალაქის წესრიგს ვიცავ 2000 გაწამებულ პოლიციელით და ჟანდარმთა დივიზიონით"-ო.

რამდენიმე დღის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, აჯანყებული როსტოვის პოლკი დანებდა მთავრობას.

მთელი ღამე ქალაქის სხვადასხვა ნაწილებში სროლა არ შეწყვეტილა, რაზმელები პოლიციელებს ხსნიდენ პოსტებიდან, იარაღის ზოგიერთი მაღაზია დაარბიეს, პოლიცია გაქრა მოსკოვის ქუჩებიდან და საპოლიციო ნაწილებში მიიმალა.

9-ს ღამით და 10-ს დილიდან დაიწყო ბარიკადების აღმართვა. ჯარმა მიიღო ბრძანება აეტეხა სროლა ზარბაზნებიდან ქალაქში. ესროდენ ბრბოს მასებს საფანტს, ესროდენ ტყვიამფრქვევებს მონასტრების სამრეკლოებიდან. შიშმა და აღშფოთებამ მოიცვა მთელი მოსახლეობა და უბრალო მოქალაქეები ყოველნაირად ეხმარებოდენ რაზმელებს.

რ. ს. დ. მ. პ. მოსკოვის კომიტეტთან არსებულმა მებრძოლმა ორგანიზაციამ რამდენიმე რჩევა-დარიგება გამოსცა აჯანყებულ მუშებისათვის. მებრძოლი ორგანიზაცია ურჩევდა მუშებს, ემოქმედნათ არა მრავალრიცხოვანი ჯგუფებით, არამედ სამი-ოთხი კაცისაგან შემდგარ პატარა რაზმებით, არ დაეკავებიათ გამაგრებული ადგილები. ბრძოლის საკითხების შესახებ გამართულ თათბირზე შეკრებილიყვნენ მცირერიცხოვან ჯგუფებით; ქვეითი ჯარისათვის ხელი არ ეხლოთ, პოლიციის დიდი მოხელეები დაეხვრიტათ, ხოლო გარადაოებისათვის წაერთმიათ იარაღი და აეძულებიათ ისინი—დახმარებოდენ მუშებს. „ომისა და ნგრევის დროს გახსოვდეთ თქვენი მომავალი როლი და ისწავლეთ მართვა-გამგეობა".

პარტიის პეტერბურგის კომიტეტმა და მუშათა დეპუტატების საბჭომ ჯერ კიდევ 6 დეკემბერს გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა. თუმცა მუშების საგრძნობი ნაწილი გაიფიცა, მაგრამ გაფიცვა არ ჩატარებულა მწყობრად.

პეტერბურგის საბჭოს დაპატიმრებას ბევრი ქალაქი გამოეხმაურა, მაგრამ მთავარი ბრძოლა მოსკოვში გაჩაღდა. „11-ს დილიდან,—მოგვითხრობს ამხანაგი დოსერი,— მოსკოვი უმაგალითო სურათს წარმოადგენდა. განსაკუთრებით შთაბეჭდილებას ახდენდა სადოვაიას ქუჩა, რომელიც მთლიანად შემოღობილი იყო მავთულით, დასერილი ბარიკადებით და სრულიად დაცარიელებული".

11-ს აჯანყებამ გრანდიოზული ხასიათი მიიღო, ყველგან სროლა იყო, ზარბაზნები ერთი მოედნიდან მეორეზე გადაჰქონდათ. ბრბოს უკან ამოფარებით რაზმელები თავს ესხმოდნენ ჯარს.

მთელ დღეს ქუხდა ზარბაზნები და ქალაქში ისმოდა სროლა. პრესნიაზე ჯერ სიწყნარე იყო, იქ მხოლოდ ვეებერთელა დემონსტრაცია იყო გამართული. მუშები შეხვდნენ პირველი დონის პოლკის კაზაკების რაზმს და გამართეს მათთან მოლაპარაკება არ აეტეხათ სროლა. კაზაკები დასთანხმდნენ და დაუბრკოლებლივ გაატარეს დემონსტრანტები.

12-ს დილიდანვე პრესნიამ დაიწყო მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

პროხოროვსკის მანუფაქტურაში მუშებმა დაიწყეს რაზმების შედგენა. ამხ. სედოის (ლიტვინის) ხელმძღვანელობით მუშათა რაზმმა დაიკავა საპოლიციო ნაწილი, მაგრამ იქ იარაღი არ აღმოჩნდა.

ქალაქისაკენ მიმავალ ქუჩებში აღმართული იყო ბარიკადები და იმავე დღეს დაიწყო სროლა, რაზმელებმა გაიმარჯვეს. ჯარისკაცებმა ტყვიები დაუშინეს ბარიკადას ზოოლოგიურ ბაღთან, მაგრამ მუშები მედგრად იდგნენ თავიანთ პოსტზე.

კაზაკების რაზმმა სცადა ბარიკადის შემოვლა, მაგრამ ხაფანგში მოემწყვდა. კაზაკებს ცხენები გაახლართნენ მავთულებში და მათ ყოველი მხრიდან აუტეხეს სროლა.

მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენდა, მაგრამ პირველ დღეებში მას ძალიან ცოტა ჰყავდა საიმედო ჯარი და ვერ გასწვდა მთელ ქალაქს. აჯანყებულები კი განუწყვეტლივ აშენებდნენ ბარიკადებს.

13-ს უკვე ქალაქის ცენტრი თითქმის გაწმენდილი იყო ბარიკადებისაგან, მაგრამ პრესნია მაინც განაგრძობდა ბრძოლას. მუშებს ძალას აქ შეემატა ქალაქიდან გამოდევნილი მებრძოლნი. აქ მოვიდა შმიდტის ცნობილი რაზმი, რომელიც საუცხოვოდ იყო შეიარაღებული. იმავე დღეს მთავრობის ჯარმა პრესნიას ზარბაზნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან დაუშინა ცეცხლი, მიუხედავათ ამისა მუშებმა მოახერხეს გადასულიყვნენ შეტევაზე და უკუექციათ ჯარისკაცები. რაზმელები გარს შემოერტყნენ ზარბაზნებს, მაგრამ ამ დროს მოვიდნენ სარეზერვო სამხედრო ნაწილები და მუშები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. რაზმელები არაჩვეულებრივი სიმამაცით იბრძოდნენ. მათ სწრაფად შეითვისეს ქუჩის ომის ტაქტიკა, მაგრამ ერთობ ცოტა იარაღი ჰქონდათ.

პრესნიაში თავისებური ცხოვრება იყო. ქალაქი უკვე მთლიანად კაზაკებმა იგდეს ხელში, ცხოვრება ჩაკვდა, შეუძლებელი იყო შეკრება, პრესნია კი ამ დროს თავისუფალი იყო, იქ მუშების ხელისუფლება შეიქმნა. პარტიის კომიტეტი ყველასთვის ცნობილ ბინაზე იმყოფებოდა და იქ შედიოდა ყველა, ობივატელებიც კი. შეიქმნა აგრეთვე ადმინისტრაცია და სასამართლო.

მუშების პარტიზანული ბრძოლა ქანცს უღიოდა ჯარისკაცებს და ისინი ღონემიხდილნი იყვნენ. თვითმკვლელობის შემთხვევებიც იყო. დუბასოვი ცნობას გზავნიდა პეტერბურგში, რომ 15.000 ჯარისკაციდან მას მხოლოდ 5,000 ჯარისკაცის გამოყენება შეუძლია, რადგან დანარჩენი არ არის საიმედო და მოითხოვდა ჯარის გამოგზავნას. პეტერბურგიდან უპასუხეს, რომ იქ თავისუფალი ნაწილები არ არის, მაგრამ დუბასოვმა ტელეგრაფით აცნობა ცარსკოე სელოში, რომ თუ მას მაშველ ჯარს არ გაუგზავნიან, თვითმპყრობელობას საფრთხე მოელის. მაშინ გაცემულ იქნა ბრძანება — გაეგზავნათ მოსკოვში სემიონოვის გვარდიის პოლკი.

რკინის გზის მოძრაობა შესწყდა 7 დეკემბერს, მაგრამ არ გაჩერებულა მოსკოვ-პეტერბურგის გზა. მუშათა მოძრაობა პეტერბურგსა და დანარჩენ ქალაქებში არ იყო საკმაოდ ძლიერი, რის გამო მთავრობამ შესძლო 16 დეკემბერს მოსკოვში გენერალ დუბასოვისათვის დამხმარე ძალების გაგზავნა.

ზევიდან ქვევით: ამხანაგები ფ. მახარაძე, ი. სტალინი და მ. ცხაკაია 1905 წელში

16-ს მუშათა მზვერავებმა მოიტანეს ცნობა იმ ჯარების გაძლიერების შესახებ, „რომლებიც პრესნის წინააღმდეგ მოქმედებდნენ". მათ აგრეთვე განაცხადეს, რომ პრესნის ზურგში გამოჩნდნენ სამხედრო მზვერავებიო. საღამოს შესდგა თათბირი პროხოროვის მანუფაქტურის სასადილოში. აქ აღნიშნეს, რომ მდგომარეობა უნუგეშოა, რომ არ არის იარაღი, ვაზნები უკვე ილევა და რომ შეუძლებელია ლაპარაკი რაიმე სერიოზული ბრძოლის შესახებ მთავრობის ჯარების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე გარს ერტყმიან პრესნას ყოველი მხრიდანო.

ღამით გენერალმა დუბასოვმა დაამთავრა პრესნისათვის ალყის შემორტყმა და ჯერ კიდევ გათენებამდე სემიონოველებმა ხელთ იგდეს მუშარა უბნის ჩრდილოეთი ნაწილი. დადგმულ ზარბაზნებიდან დაუწყეს სროლა სახლებს. მთელი პრესნია ტყვიითა და ფოლადის ნამსხვრევებით აივსო. განაპირა სახლები ერთი მეორეზე იწვოდა, მაგრამ ჯარი მაინც ვერ ბედავდა პროხოროვის მანუფაქტურასთან ახლო მისვლას. დაღამებამდე ისმოდა ზარბაზნების გრიალი. სახლები ცეცხლის ალში იყო გახვეული, რაზმელების დარჩენილი ნაწილებიც ცეცხლის რკალში მოემწყვდნენ. მაგრამ ერთი ქუჩა თავისუფალი აღმოჩნდა მოძრაობისათვის და რამდენიმე მებრძოლმაც მოასწრო დამალვა.

სემიონოვის პოლკის უფროსმა გენერალმა მინმა გასცა ბრძანება, თავისი თანაშემწის პოლკოვნიკ რიმანის მიმართ, რათა „ტყვეები არ წამოეყვანათ". მოსკოვის პროლეტარიატის ჯალათები, აჯანყების ჩამხშობელები არაადამიანურად უსწორდებოდნენ რევოლუციონურ მუშებს. პრესნია, სადაც იმყოფებოდა რევოლვერებითა და ათეული მაუზერებით შეიარაღებული რამდენიმე ასი მუშა, ერთ კვირაზე მეტ ხანს იბრძოდა რამდენიმე პოლკისაგან შემდგარი რეგულიარული ჯარების წინააღმდეგ და მხოლოდ მაშინ, როცა ძალა გამოელიათ და გაუთავდათ იარაღის ისედაც მცირე მარაგი, ყოველი მხრიდან გარსშემორტყმის შემდეგ, პრესნია აღებულ იქნა. განუწყვეტლივ გუგუნებდნენ ზარბაზნები. ცეცხლის რკალი მოედო მთელს მუშათა უბანს, მაგრამ მაინც კი გამარჯვებულები ვერ ბედავდნენ პროხოროვის მანუფაქტურის სასადილოსთან ახლო მისვლას, სადაც იმ დროს იმყოფებოდა აჯანყებულთა შტაბი.

მეფის დამქაშთა სიხარული. თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტრის — პროლეტარიატის — უძლეველობის ინსტიქტიური გრძნობა კიდევ უფრო აღიზიანებდა მათ, რაც იწვევდა თვითმპყრობელობის მოტრფიალეთა კიდევ უფრო გაავებას და გაბოროტებას.

შურისძიება გამარჯვების შემდეგ იმდენად სასტიკი იყო, რომ ლიბერალურმა ბურჟუაზიამაც კი მორთო წუწუნი. ასობით და ათასობით მუშა დახვრეტილ იქნა მოსკოვის ქუჩებში და მის მიდამოებში, გაუსამართლებლად და გამოუძიებლად. მოსკოვის დამწყნარებლის გენერალ მინის მოხსენება არაფრით განსხვავდებოდა იმ მოხსენებათაგან, როგორსაც გზავნიან ჩვეულებრივი ომიდან:

აი ამ მოხსენებათა ნიმუშები: „1905 წლის 17 დეკემბერი, დილის 9 საათი და 20 წუთი. პრესნის ხიდი. მოგახსენებთ, რომ ოთხი ზარბაზნისა და ოთხი გუნდის საშუალებით ავიღეთ ბარიკადები და დავანგრიეთ ხიდის ახლო-მახლო სახლები, რომლებიც იწვის. გორბატის ხიდზე 4 ზარბაზნისა და სამი გუნდის საშუალებით დავანგრიეთ ბარიკადები და შმიდტის ფაბრიკა. ჩვენი მხრით მოკლულია ორი, დაჭრილია ერთი და მოკლულია ერთი ცხენი".

„პოლკოვნიკმა რიმანმა ხელთ იგდო პრესნია. რაზმი გაიყო სამ კოლონად: პირველი კოლონა წავიდა დიდი პრესნით, მეორე ზემო პრედტეჩენსკის ქუჩით, მესამე ქვემო პრესნის ქუჩით, შლიან ბარიკადებს და ანგრევენ სახლებს, საიდანაც განაახლებენ სროლას. ამჟამად ჯუმბაროვს უშენენ პროხოროვის ფაბრიკას, რის გამო გეგმა ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი. ამჟამად ორი გუნდი და 4 ზარბაზანი დაყენებულია ზოოლოგიურ ბაღთან, ხუთი გუნდი და 4 ზარბაზანი—გორბატის ხიდთან. დანგრეულია ათი ბარიკადი. დაიწვა 7 ფაბრიკა აჯანყებულთა სასროლი მასალის საწყობთან ერთად და 9 სახლი პრესნის ნაწილის მიდამოებში".

21 დეკემბრის მოხსენებაში მინი სწერდა: „მეტად ვწუხვარ, რომ მეთაურები უკვე წავიდნენ, მაგრამ შესაძლებელია კვალს მივაგნოთ, მათი გვარები ვიცით".

თუ როგორ წავიდნენ „მეთაურები", ამის შესახებ მინმა მხოლოდ შემდეგ გაიგო.

სადგურ ლიუბერცში ჯარისკაცებმა ეჭვი აიღეს ერთ მოხელეზე და გაჩხრეკის დროს უპოვნეს მას რევოლვერი. შეპყრობილმა უარი განაცხადა დაესახელებინა თავისი გვარი. ოფიცერმა, რომელიც აწარმოებდა შეპყრობილის დაკითხვას და სინჯავდა მის ფოტოგრაფიულ სურათს, იცნო ის: „თქვენ მემანქანე უხტომსკი ხართ, უთხრა ოფიცერმა, — თქვენ დახვრეტილი იქნებით".

„მეც ასე ვფიქრობდი, — მშვიდად უპასუხა უხტომსკიმ, — მე ვიცოდი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩაგივარდებოდით ხელში, თქვენ მე დამხვრეტდით. მე თქვენ გეტყვით, თუ ვინ იყო იმის მიზეზი, რომ მატარებელი რაზმელებით უვნებლად გავიდა მოსკოვიდან და მით გადარჩენილ იქნა მთავარი მონაწილენი, მებრძოლი რაზმის მეთაურები და საგაფიცვო კომიტეტის წევრები.

როცა მოსკოვში ყველა გზები ჯარების მიერ იყო დაჭერილი, მე გამოვიყვანე იქიდან რაზმი, მიუხედავად იმისა, რომ სადგურის მახლობელ ბოსტნებიდან თქვენ მე ტყვიამფრქვევებით მესროდით.

ამ საშიშარ ადგილას, სადაც იყო დიდი მოხვეული და სრულიად ღია მდებარეობა და რაც ხელსაყრელი იყო ტყვიამფრქვევების მუშაობისათვის, მე განვავითარე მატარებლის სიჩქარე 70 ვერსამდე საათში, მე თვითონ ვმართავდი ორთქლმავალს.

ორთქლის წნევა მე ავიყვანე ქვაბის გახეთქის შესაძლებელ საზღვრამდე. ჩვენ საფრთხე მოგველოდა არა ტყვიამფრქვევებისაგან, არამედ იმიტომ, რომ შესაძლებელი იყო აფეთქებისაგან დავღუპულიყავით... თქვენ დასჭერით 6 კაცი, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოჰკალით. ყველა გადარჩა და ისინი შორს იმყოფებიან... თქვენ მათ ვერ იპოვნით".

დასჯის დროს მემანქანე უხტომსკის წინადადება მისცეს თვალები აეხვია, მაგრამ მან ამაზე უარი განაცხადა.

ვაჟკაცურად შეხვდა უხტომსკი სიკვდილს, სემიონოველებიც კი პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალენ ამ ადამიანისადმი.

რკინის გზის ყველა სადგურზე მოსკოვის ირგვლივ მეფის ბანდიტები ხვრეტდნენ და ახრჩობდნენ ასობით მუშებს; სისხლით ამაგრებდნენ მკვლელი მეფის ტახტს. მთელს რუსეთს კი მოედო გლეხთა რევოლუციონური მოძრაობის ფართო ტალღა. იწვოდა მამულები, ეკონომიები და კარ-მიდამოიობი. მაგრამ, სამწუხაროდ, მოძრაობამ ამ შემთხვევაში რამდენიმედ დაიგვიანა: ქალაქი, ე. ი. მუშათა კლასი, დღეებით დაიქანცა. მეფის გენერლებმაც შესძლეს სოფლის ჩახჩობა და გამარჯვების ზეიმის გადახდა.

19 დეკემბერს მუშათა დეპუტატების საბჭომ და პარტიის კომიტეტმა გაფიცვა დამთავრებულად გამოაცხადეს და გამოუშვეს მოწოდება მოსკოვის აჯანყების მნიშვნელობის შესახებ.

დამარცხების მიზეზს მოწოდება ხსნის იმით, „რომ მოსკოვის მუშების ენერგიულ ბრძოლას ზურგი ვერ გაუმაგრა მუშა ხალხის ასეთმავე გადაჭრილმა გამოსვლამ რუსეთის დანარჩენ ქალაქებში. გარდა ამისა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ჩვენი ძმები—ჯარისკაცები — ჯერ კიდევ არ არიან მისულნი შეგნებისა და გაბედულების იმ დონემდე, რომ უცებად გადავიდნენ ხალხის მხარეზე". „მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენი სისხლიანი ბრძოლის კვირამ მოსკოვში არ მოაახლოვა ხალხის თავისუფლების გამარჯვების საათი მთელს რუსეთში? არავითარ შემთხვევაში". „მოსკოვის პროლეტარიატის აჯანყების დეკემბრის კვირა დამთავრდა.

გაუმარჯოს საყოველთაო სახალხო აჯანყებას და გამარჯვებას ჩაგვრისა და თვითნებობის წყობილების წინააღმდეგ"!

ი. რ—ი.

წითელ პარტიზანთა რაზმი გურიაში

მოგონებანი არალეგალური მუშაობიდან

დაწყებული 1900 წლიდან თვით 1905 წლის დეკემბრის აჯანყებამდე (მოსკოვში) მუშათა კლასის რევოლუციონური მოძრაობის ტალღა თანდათან იზრდებოდა, რაც ორგანიულად საგაფიცვო მოძრაობის თანამიმდევრობით გაძლიერებაში გამოიხატა.

მუშათა კლასის თვით საგაფიცვო მოძრაობა კი 1900-1905 წლის პერიოდში გამოხატავდა პროლეტარიატის ბრძოლას მუშათა კლასის იმ უსაზღვრო ექსპლოატაციის წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავდა მაშინ, შედარებით ახალგაზრდა რუსეთის ბურჟუაზია. 1904 წელს თავისი არსებობის გარიჟრაჟზე რუსეთის ბურჟუაზიამ, რომელსაც ერთის მხრივ უნდოდა მშრომელთა ყურადღება ჩამოეშორებინა აზვირთებული რევოლუციონური ბრძოლისაგან, ხოლო მეორეს მხრივ, — გაეფართოებინა თავისი ბატონობის სფეროები, დაიწყო ომი იაპონიასთან და სამარცხვინოდ წააგო იგი. რა გზას უნდა დასდგომოდა ამის შემდეგ ბურჟუაზია? იგი დამარცხდა „გარეშე" მტერთან ბრძოლაში, ხოლო შიგნით მან უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია მუშათა კლასში უკანასკნელის ექსპლოატაციის ნიადაგზე და წვრილ ბურჟუაზიაში რუსეთ-იაპონიის ომში დამარცხების ნიადაგზე. ყოველივე ამის შედეგად გაბატონებულმა ბურჟუაზიამ მემამულეებთან და თავად-აზნაურულ კამარილიასთან ერთად გადასწყვიტა თავისი სახელმწიფო აპარატის — თვითმპყრობელური წესწყობილების — საშუალებით ანგარიში გაესწორებინა „შინაურ" მტერთან, რასაც მუშათა კლასმა და გლეხობის ნაწილმა აჯანყებით უპასუხა. აი მოკლედ 1905 წლის რევოლუციის წინასწარი პირობები. ამხ. ლენინმა გაითვალისწინა ეს პირობები, რომლებსაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მუშათა კლასის აჯანყება,(რაც ისტორიამ სავსებით დაადასტურა 1905 წელს), მან მიიღო ზომები იმისთვის, რომ მოსკოვში მოწყობილიყო მეორე ცენტრალური არალეგალური სტამბა (პირველი სტამბა იყო ბაქოში და სამსახურს უწევდა მთელ რუსეთს), რომელიც დროულად უზრუნველყოფდა გაძლიერებულ რევოლუციონურ მოძრაობას ბოლშევიკური ლიტერატურით. ამ მიზნით 1904 წლის დამლევს ამხ. ლენინი საზღვარგარეთიდან უგზავნის ამხ. კრასინს (კრასინი მაშინ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო, ცხოვრობდა ბაქოში და განაგებდა იქ არალეგალურ ცენტრალურ სტამბას). წერილებს, რომლებშიაც მოითხოვს მეორე ცენტრალური არალეგალური სტამბის მოწყობას რუსეთის ცენტრში, ვინაიდან ბაქოდან ბოლშევიკური ლიტერატურის თავის დროზე მიწოდება მოსკოვისა, ლენინგრადისა (მაშინდელი პეტერბურგი), ხარკოვისა და სხვა სამრეწველო ცენტრებისათვის შეუძლებელი იყო. ამხ. კრასინმა ლენინის დირექტივის შესასრულებლად გაიწვია ამხ. სემიონი (იგივე ტრიფონი) ენუქიძე, ბაქოს პირველი ცენტრალური არალეგალური სტამბის ფაქტიური ორგანიზატორი და გამგე, რომელსაც დიდი ორგანიზაციული გამოცდილება ჰქონდა ამ საქმეში, — და წინადადება მისცა მას წასულიყო მოსკოვში, გამოერკვია ადგილობრივ ცენტრალური არალეგალური სტამბის მოწყობის პირობები და შესაძლებლობა. ამხ. სემიონი გაემგზავრა მოსკოვში, ადგილობრივ გაეცნო ყველა პირობებს და დაბრუნდა უკან ბაქოში თავისი პროექტით. ეს პროექტი ბაქოში განიხილა კრასინმა, მოიწონა იგი, რის შემდეგ ამხ. სემიონმა წინადადება მომცა მე წავსულიყავი მოსკოვში მასთან ერთად ცენტრალურ არალეგალურ სტამბაში სამუშაოდ. სტამბის მოწყობის პროექტი მეტად ორიგინალურად იყო შედგენილი. იგი მდგომარეობდა შემდეგში: უნდა ოფიციალურად დაგვეჭირა სავაჭრო შენობა, მაგრამ აუცილებლად სარდაფით. ამავე დროს რაიონი არ უნდა ყოფილიყო არც ცენტრალური და არც ძალიან მოშორებული, რათა ეჭვის თვალით არავის შეეხედა ჩვენი საქმისათვის. ასეთ რაიონად მიჩნეულ იქნა ბუტირსკის რაიონი, სადაც ლესნაიას ქუჩაზე № 55-ში ვიპოვეთ სახლი, რომელშიაც ამხ. ენუქიძემ იჯარით აიღო სავაჭრო შენობა. ეს შენობა შესდგებოდა დარაბისაგან (სავაჭრო). დარაბას იქით იყო საცხოვრებელი ბინა და სამზარეულო, ხოლო ამ შენობის ქვევით დიდი სარდაფი. ხელშეკრულება დადებულ იქნა სამი წლით სახლის პატრონსა და კალანდაძეს შორის. (კალანდაძის შესახებ ქვემოდ).

არალეგალური სტამბის მოწყობის გეგმა ასეთი იყო. უნდა გაგვეხსნა ოფიციალურად (ლეგალურად) საბითუმო სავაჭრო კანტორა, რომელიც ივაჭრებდა აღმოსავლეთური ხილით, როგორიცაა: ქიშმიში, მიწის თხილი, თხილი და კაკალი, სხვადასხვა ხმელი ხილეული, ბრინჯი, აგრეთვე კავკასიური ყველი და სხვ. ამ მიზნით, ჩვენ თვით კანტორაში გვქონდა ზემოდ ჩამოთვლილი საქონლის ყველა ნიმუშები, მაგრამ ნიმუშებს გარდა ჩვენ არაფერი არ მოგვეპოვებოდა. ამასთანავე კანტორაში გვქონდა საქონლის ასეთი ნიმუშები, რომელიც მოსკოვში რამდენიც გინდათ იშოვებოდა სხვადასხვა მოვაჭრე ფირმებთან, მაგრამ როცა ჩვენთან მოდიოდენ მყიდველები, ჩვენ მათ ვეუბნებოდით, რომ კანტორაში გვაქვს ნიმუშები, ხოლო საქონელი საბაზისო საწყობებში ინახება, ვინაიდან ჩვენ ვაწარმოებთ არა წვრილ-წვრილად ვაჭრობას, არამედ საბითუმო ვაჭრობასაო. იმ შემთხვევებში, როცა ჩვენ შევუთანხმდებოდით მყიდველს (თუმცა ძალიან კი არ ვცდილობდით შევეჩეჩებია მისთვის საქონელი, ხშირად რამდენამდე გადიდებულ ფასებსაც კი ვადებდით, რომ თავიდან მოგვეშორებია მყიდველი) გვიხდებოდა ჩვენ „ნოქრის" გაგზავნა სუხარევის ბაზარზე, იგი იქ ყიდულობდა, რაც საჭირო იყო, და უგზავნიდა მყიდველს დანიშნულებისამებრ.



ВЫСОЧАЙШІЙ
МАНИФЕСТЪ.

БОЖІЕЮ МИЛОСТІЮ,
МЫ, НИКОЛАЙ ВТОРЫЙ,
ИМПЕРАТОРЪ и САМОДЕРЖЕЦЪ ВСЕРОССІЙСКІЙ,
Царь Польскій, Великій Князь Финляндскій,
и прочая, и прочая, и прочая.

НИКОЛАЙ.

МАНИФЕСТ 17-го ОКТЯБРЯ

17 ოქტომბრის მანიფესტი, რომელიც ხალხის თვალის ასახვევად გამოუშვა რევოლუციისაგან დამფრთხალ ნიკოლოზ მეორემ.

ჩვენი „სავაჭრო აპარატი" შესდგებოდა შემდეგი „საშტატო" ერთეულებისაგან: სავაჭროს პატრონი კალანდაძე (უპარტიო კაცი), რომელიც მტკიცედ იცავდა თავის დაპირებას სასტიკი კონსპირაციის შესახებ, რისთვისაც მას დიდი თანხების მიღების იმედი ჰქონდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ჩვენი ბიუჯეტი ამის ნებას არ მოგვცემს, მალე მიგვატოვა, მაგრამ მტკიცედ შეასრულა დაპირება, რომ ამ საქმის შესახებ არავის არაფერს ეტყვის; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მისი წასვლა ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ იგი ძალიან შეშინდა. რასაკვირველია, წასვლის წინ მას მივეცით სათანადო „ინსტრუქცია". ინსტრუქციის მუხლებს შორის იყო ასეთი: „რევოლვერი კარგად ურტყამს მიზანში". ერთი სიტყვით, მისთვის აშკარა გახდა, რომ სტამბის აღმოჩენა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა და იგი კეთილსინდისიერად სდუმდა.

შტატში გვყავდა აგრეთვე კანტორის გამგე სილოვან კობიძე და ნოქარი ეგორი (მისი გვარი არ მახსოვს). ამავე დროს ჩვენ იქ გვყავდა „მოსამსახურე", რომელიც ემსახურებოდა „გამგის ოჯახს" (გამგეს ყავდა ცოლი და პატარა ბავში). მოსამსახურის როლს ასრულებდა პარტიული ქალი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ ივანოვო-ვოზნესენსკის საფეიქრო ფაბრიკიდან. მას ზედმეტ სახელად ვეძახდით „ტრუბა"-ს. ის ამჟამად საბჭოთა კავშირის ცაკის წევრია და საპასუხისმგებლო თანამდებობა უკავია მოსკოვში. საერთოდ „მოსამსახურების" საკითხი მწვავედ იდგა, რადგან მათთვის ძნელი იყო დაკისრებული როლის შესრულება. ამიტომ 5-6 თვის შემდეგ „ტრუბა" „დავითხოვეთ" და მის ადგილზე მივიღეთ მეორე პარტიული ქალი დენისოვა, რომელიც მალე წავიდა ჩვენგან, სტამბაში არსებული მძიმე რეჟიმის გამო.

გადავსწყვიტეთ აგვეყვანა ნამდვილი მოსამსახურე, მაგრამ იმ პირობით, რომ იგი სულელი იქნებოდა. ეს იდეა სწორი აღმოჩნდა. ჩვენ წავედით სმოლენსკის ბაზარზე და იქ ვიშოვეთ ასეთი მოსამსახურე, რომელსაც ათამდის დათვლაც კი უჭირდა. ეს გამოირკვა ლაპარაკების დროს. როცა მე შევეკითხე რამდენად წამოვიდოდა სამსახურში მან პირიქით მომცა კითხვა რამდენის გადახდა შეგვიძლია ჩვენ. მე შევაძლიე ათი მანეთი, იგი იდიოტურად [illegible]ხრა: „ათ მანეთად კი არა, რვა მანეთადაც არ წამოვალ"-ო. ჩვენ მაშინათვე მივხვდით, რომ სწორედ ეს არის ის, რომელსაც ვეძებდით. შევთანხმდით ცხრა მანეთზე. იგი წამოვიდა ჩვენთან და სტამბის არსებობის ბოლომდე დარჩა სტამბაში. თითქმის მის თვალწინ ვაკეთებდით ჩვენ ყველაფერს და მან არ იცოდა, არ ესმოდა, თუ რა ხდებოდა სარდაფში, ხოლო სარდაფში პირველადვე გეგმის თანახმად მოთავსებული იყო სტამბა.

როგორ იყო მოწყობილი სტამბა? როცა ჩვენ შენობა დავიქირავეთ, სარდაფში არ იყო ჭა, მაგრამ ხელშეკრულებით ჩვენ დავავალეთ სახლის პატრონს ამოეთხარა იქ ღრმა ჭა. ჩვენ ეს დავასაბუთეთ იმით, რომ სარდაფში უნდა შევინახოთ აღმოსავლეთუ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე)

1905 წლის რევოლუცია და ბოლშევიკები

მეოცე საუკუნის დაწყებიდან რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა-განვითარება რუსეთის ყოფილ იმპერიაში მართლაც ვეებერთელა ნაბიჯით წავიდა წინ. ამ მოძრაობაში იმ დროიდან დაწყებული სულ უფრო და უფრო ებმება უმთავრესად **მუშათა კლასი, —** ქარხნების, ფაბრიკების და რკინის გზების **პროლეტარიატი.** შეთქმულებების და ტერორისტულ აქტების ადგილს იჭერს მასიური პროპაგანდა და აგიტაცია. ფაბრიკა-ქარხნების მუშებს მხარს უჭერს **სტუდენტობა.** რევოლიუციონური ბრძოლის ყველაზე უფრო საყურადღებო იარაღად ამიერიდან ხდება გაფიცვა და **დემონსტრაცია.** როგორც პირველს, ისე მეორეს პირველ ხანებში აქვს მეტ ნაწილად ეკონომიური ბრძოლის ხასიათი და მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში ისინი ღებულობენ პოლიტიკური ბრძოლის ელფერს.

თითქმის სრულიად დამოუკიდებლად პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობისა 1902 წლიდან იწყება გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობა. პირველად, რა თქმა უნდა, სტიქიურ ამბოხებების სახით (კურსკის, პოლტავის, ხარკოვის გუბერნიები), მხოლოდ ერთ რაიონში, სახელდობრ გურიაში, გლეხების მოძრაობა ერთი მხრით სოციალ-დემოკრატიულ იდეების და მეორე მხრით ქალაქის მუშების გაფიცვების ზეგავლენით იმთავითვე ღებულობს შეგნებულ ხასიათს.

გლეხების მოძრაობა ააშკარავებდა იმ გარემოებას, რომ მუშათა კლასს თავის ბრძოლაში როგორც თვითმპყრობელობის დამხობის, ისე საერთოდ მთელი მშრომელი ხალხის აუტანელ ჩაგვრისა და ყვლეფისაგან განთავისუფლების საქმეში, ყავდა მხოლოდ **ერთად-ერთი საიმედო მოკავშირე** და ასეთი მოკავშირე და თანამებრძოლი იყო სრულიად გაღატაკებული და დამონებული გლეხკაცობა. მაგრამ ამის დანახვა და აქედან სათანადო დასკვნის გამოტანა მეტისმეტად ძნელი ამოცანა იყო, რადგანაც გლეხკაცობა იმ დროს წარმოადგენდა თუმცა მრავალმილიონიან მასას და ობიექტიურად რევოლიუციონურ კლასს, მაგრამ იმავე დროს ეს მასა იყო სრულიად დაქსაქსული, უკიდურესად ჩამორჩენილი კულტურულად და სრულებით შეუგნებელი პოლიტიკურად. ის, ვინც პირველად შეიგნო და სათანადოდ შეაფასა ეს გარემოება, იყო **ლენინი.** ამნაირად, რუსეთის რევოლიუციის **მამოძრავებელ ძალებს** შეადგენდა ერთი მხრით **მუშათა კლასი** (პროლეტარიატი) და მეორე მხრით **გლეხობა, —** ეს ორი საზოგადოებრივი კლასი, ერთმანეთისაგან გათიშული იყვნენ და საერთო ენას ვერ პოულობდნენ.

დაწყებული რევოლიუციონური მოძრაობის და მომავალი რევოლიუციის გამარჯვების ინტერესები აუცილებლად თხოულობდნენ გლეხკაცობის პოლიტიკურად აღზრდას და მუშათა კლასთან ერთად რევოლიუციურ ბრძოლაში ორგანიზაციულად ჩაბმას. ამ ამოცანის განხორციელება შეეძლო მუშათა კლასს და მის მოწინავე რაზმს — რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიას. მაგრამ მუშათა კლასი იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ამისთვის მომზადებული. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიას, ორგანიზაციულად ის კიდევ მეტად სუსტი იყო, რომ მრავალმილიონიან გლეხებს რევოლიუციონურ მოძრაობისათვის საკმარისი ხელმძღვანელობა გაეწია. და ეს მით უფრო, რომ სოციალ-დემოკრატიის ასეთ მუშაობას აბრკოლებდა და ხელს უშლიდა ის განხეთქილება და აქედან წარმომდგარი შინაპარტიული ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, რომელიც დაიწყო განსაკუთრებით პარტიის **მეორე ყრილობის** შემდეგ (1903 წ.). აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ გლეხთა საკითხს საერთოდ სწორად უდგებოდა მხოლოდ ბოლშევიკების ფრაქცია ლენინის მეთაურობით; ეს მიდგომა, როგორც ვიცით, შემდეგში სავსებით გაამართლა სინამდვილემ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენ მოთხრობას. როგორც ვთქვით, სტიქიური რევოლიუციონური მოძრაობა მუშებში და გლეხებში გასაოცარი სისწრაფით იზრდებოდა. უკმაყოფილება და აღშფოთება მაშინდელ თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელურ წესწყობილების წინააღმდეგ დღითი-დღე მატულობდა და ფართოვდებოდა. რამდენადაც ძალა მესწევდა სოც-დემოკრატიას, ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობდა ამ მოძრაობას. მაგრამ ძალები ან არ იყო სრულებით, ან თუ იყო, არ კმაროდა. რევოლიუციონური გამოსვლები გაფიცვების, თუ ამბოხებების, თუ ტერორისტული აქტების სახით ამოხეთქავდენ, სტიქიურ გადაუვალ მოვლენების მსგავსად. იმათ ვერაფერი აჩერებდა. დასჯა-რეპრესიები კიდევ უფრო მეტ გაბოროტებას და აღშფოთებას იწვევდენ მუშებში და გლეხებში მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩა თვითმპყრობელობისათვის. ამიტომ მან სხვაგვარ ღონისძიებებს მიმართა ხალხის რევოლიუციონური მოძრაობის ჩასახრჩობად. ეს იყო უპირველეს ყოვლისა ებრაელ მოსახლეობის დარბევა; ებრაელები გამოყავდათ ხალხის უბედურების მიზეზად. ეს ხერხი ახალი გამოგონება არ ყოფილა, მხოლოდ ახლა მიეცა მას ფართო სარბიელი.

მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. ამიტომ მთავრობამ მეორე ხერხს მიმართა, რათა მუშათა კლასის და გლეხების ყურადღება მიეპყრო სხვა მხარეზე, რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობის მიზნით. ეს იყო მისთვის საბედისწერო ომის გამოწვევა იაპონიასთან (1904 წ. იანვარი). ეს იყო ამავე დროს კაპიტალისტების და მემამულეების გულის მოგება. ოცნებობდენ იაპონიის იოლად დამარცხებაზე ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით, როგორც მაგ., რუსეთის თვითმპყრობელობის კიდევ უფრო განმტკიცება, ბურჟუაზიის და მემამულეების სიმდიდრის მომატება. მაგრამ თავი და თავი ოცნება იყო მუშათა კლასის დასუსტება და რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობა. მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომის ბედი სულ უკუღმა დატრიალდა. ომი დაიწყო რუსეთის სამხედრო ძალების სასტიკი დამარცხებით და ასევე გრძელდებოდა, სანამ სამარცხვინო ზავით არ დამთავრდა. თუ ამ ომში იაპონიის დამარცხება არსებითად ნიშნავდა თვითმპყრობელობის გამარჯვებას და მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის შეფერხებას, თუ სრულიად დამარცხებას არა, იმ ხნობით, რუსეთის დამარცხება სამაგიეროდ ნიშნავდა რუსეთში რევოლიუციონური მოძრაობის კიდევ უფრო გაღრმავება-გაფართოებას და მისი გამარჯვებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას.

აქედან აშკარაა, რომ რევოლიუციონური პარტიები, განსაკუთრებით ბოლშევიკების ფრაქცია, დაინტერესებული იყო რუსეთის დამარცხებაში. მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა, როგორც ვიცით, პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხანაშიაც (1914—1917 წ. წ.). დიდი რუსეთის იმპერიის პატარა იაპონიასთან ომში დამარცხება ნიშნავდა ამასთანავე რუსეთის თვითმპყრობელობის გაკოტრებას ომიანობის საქმეში. ამ დამარცხებამ გაუტეხა თვითმპყრობელობას სახელი თვით მის მოკავშირეებშიაც კი, როგორც, მაგ., უცხოეთის და შინაური ბურჟუაზიის თვალში. ამიტომაც იყო, რომ რუსეთის ბურჟუაზიას, რომელიც აქამდის პირდაპირ ლოცულობდა მეფის თვითმპყრობელობაზე, ახლა აღარ ჯეროდა ის, რომ ეს თვითმპყრობელობა შესძლებდა მისი (ბურჟუაზიის) ინტერესების დაცვას. აქედან რუსეთის ბურჟუაზიის ერთი ნაწილის, ეგრედწოდებული ლიბერალური ბურჟუაზიის „ოპოზიციაში" გადასვლა, კონსტიტუციონური იდეების წამოყენება, მუშათა მოძრაობისათვის სიტყვით მხარის დაჭერა, და სხვ. და სხვ.

მაგრამ რუსეთის რევოლიუციის ისტორიამ არ იცის არც ერთი ფაქტი რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის რევოლიუციონური გამოსვლისა. პირიქით, იგი ყოველთვის იჩენდა ორპირობას — ორჭოფობას ერთი მხრით, და ღალატს რევოლიუციის მიმართ, მეორე მხრით. მიუხედავად ამისა, მენშევიკები იმთავითვე სახავდენ ლიბერალურ ბურჟუაზიას როგორც რევოლიუციის მოთავეს და მის მებაირაღტრეს. ეს იყო იმათი ერთ-ერთი უდიდესი შეცდომა, რამაც დიდად ავნო რევოლიუციის საქმეს როგორც 1905 წელს, ისე შემდეგშიაც.

1904 წლის განმავლობაში რევოლიუციონური მოძრაობა ოდნავაც არ დამცხრალა, პირიქით, მისი ტალღები თანდათან და სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდენ. ამნაირად თვითმპყრობელობას არაფერი შველოდა: არც რეპრესიები, არც ებრაელთა დარბევა, არც გარეშე ომი. ყოველივე ეს მისთვის უარყოფით შედეგებს იწვევდა. იყო კიდევ თვითმპყრობელობის განკარგულებაში ერთი საშუალება მუშათა მოძრაობის თავის ხელში ჩასაგდებად, რასაც შედეგად უნდა მოყოლოდა რევოლიუციონერ-სოციალისტების მუშათა მოძრაობიდან გამოთიშვა და გარიყვა. ეს იყო ეგრედწოდებული **ზუბატოვშჩინა,** ე. ი. მუშების საცდუნებელი ორგანიზაციების შექმნა და ამ ორგანიზაციების დაპირდაპირება მუშების ნამდვილ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებისათვის. ეს ოინი ერთ დროს დიდი მარცხით დამთავრდა. მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობის ისევ გაძლიერების გამო თვითმპყრობელობის მესვეურებმა კვლავ გადასწყვიტეს ამ საშუალებისათვის მიმართვა.

1904 წლის განმავლობაში ქ. პეტერბურგის სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნებში აარსებენ მუშათა საზოგადოებებს, სადაც ხუცესი **გ. გაპონი** კითხულობს ლექციებს და ეწევა მუშებში პროვოკაციულ მუშაობას. დიდძალი მუშები მოყვენ მისი გავლენის ქვეშ. იგი ცდილობდა დაეჯერებია მუშები იმაში, რომ მეფე ლმობიერი კაცია და მუშების კეთილმოყვარული, მაგრამ კაპიტალისტები და მისი მოხელეები არ ასრულებენ მის სურვილს, უმალავენ მას სინამდვილეს. მეფე ხალხის მამაა. ამიტომ საჭიროა, რომ მუშებმა უშუალოდ მიმართონ მეფეს, როგორც თავის მამას, თხოვონ (პეტიციით) და აუხსნან მას თავის ჭირვარამი. მეფეც უთუოდ მოუსმენს და იმათ თხოვნას დააკმაყოფილებსო. წარმოიდგინეთ, მუშები, იყვნენ იმდენად გულუბრყვილონი, რომ გაპონის სიტყვები მათ დაიჯერეს. მერე რას თხოულობდენ ისინი გაპონის მიერ შედგენილ პეტიციაში? შეუძლებელია არ მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი უფრო დამახასიათებელი ადგილები ამ ისტორიული დოკუმენტიდან:

„ჩვენ, მუშები — ასე იწყება პეტიცია, — მოვედით შენთან. ჩვენ უბედური, გალანძღული მონები ვართ. ჩვენ გაჭყლეტილი ვართ დესპოტიზმის და თვითნებობის მიერ. როცა აივსო მოთმინების ფიალა, ჩვენ შევსწყვიტეთ მუშაობა და ვთხოვეთ ჩვენ „ხაზეინებს" მიეცათ ჩვენთვის მხოლოდ ის, ურომლისოდ ჩვენი ცხოვრება ტანჯვაა. მაგრამ ეს უარყოფილ იქნა, მექარხნეებს ეს მოეჩვენათ უკანონოდ. ჩვენ აქ, მრავალი ათასები, როგორც მთელი რუსის ხალხი, მოკლებული ვართ ყოველგვარ ადამიანურ უფლებებს. შენი მოხელეების წყალობით, ჩვენ შევიქენით მონებად". შემდეგ პეტიციაში ჩამოთვლილია მუშების მოთხოვნები: ამნისტია, სხვადასხვა თავისუფლება, ნორმალური სამუშაო ხელფასი, მიწების გადაცემა გლეხებზე, დამფუძნებელი კრების მოწვევა საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე და თავდება შემდეგი სიტყვებით: „მეფევ! ნუ ეტყვი უარს შენ ხალხს! დაანგრიე კედელი შენსა და შენ ხალხს შორის. უბრძანე და შემოგვფიცე, რათა ჩვენი თხოვნა შესრულებულ იქნას და შენ გააბედნიერებ რუსეთს. თუ არა, **ჩვენ მზად ვართ დავიხოცოთ აქვე. ჩვენ გვაქვს მხოლოდ ორი გზა: თავისუფლება და ბედნიერება, ან საფლავი".** უნებლიედ ეკითხები შენ თავს: რას ფიქრობდენ ეს მუშები, როცა ასეთი „თხოვნით" მიდიოდნენ ნიკოლოზ რომანოვთან? შეუძლებელია, რომ თუ ყველას არა, დიდ ნაწილს ეჭვი არ ქონებოდა ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში. მაგრამ იმათ მაინც გადასწყვიტეს მეფესთან წასვლა. მაგრამ 9 იანვრის შემდეგ მოხდა მასიური გამოფხიზლება. ეს იყო რუსეთის პირველი დიდი რევოლიუციის დაწყება. ის არ დაწყებულა შეიარაღებული ხალხის გამოსვლით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ის არ დაწყებულა შეიარაღებული აჯანყებით. აქ მოხდა საყურადღებო და ღირსშესანიშნავი: ეს იყო მეფისადმი ხალხის რწმენის დახვრეტა. მეფის ჯალათებმა ხალხთან ერთად დახვრიტეს რუსეთის ხალხის რწმენა მეფე-მამისადმი. რუსეთის ხალხს აღარა ყავს მეფეო — აი რა გაიგო 9 იანვარს რუსეთის ხალხმა. ამ ამბავს უდიდესი ფასი და მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის რევოლიუციონურ მოძრაობაში.

მსხვერპლი იყო მხოლოდ ერთ მხარეზე, დახოცეს მხოლოდ მუშები, მუშების ცოლები, დები და დედები; თითქო გაიმარჯვა თვითმპყრობელობამ, სამუდამოდ „ასწავლეს ჭკუა" მუშებს, რომ შემდეგში აღარ მოსვლოდათ თავში ასეთი რამ. სინამდვილეში კი დამარცხდა თვითმპყრობელობა. პეტერბურგის მუშებმა და მათთან მთელმა რუსეთის ხალხმა მიიღეს თვალსაჩინო გაკვეთილი იმის, რომ შეიარაღებულ აჯანყების გარეშე შეუძლებელი იყო თავისუფლების მოპოვება. აი როგორ მსჯელობდენ მუშები 9 იანვრის გაკვეთილის შესახებ, „ცულები" — ამბობდა ერთი. „არა, ცულებით ვერაფერს გააკეთებ მაგათთან, საჭიროა რევოლვერები, კიდევ უკეთესია თოფებიო". ასე იწყეს მსჯელობა მუშებმა. მოხდა ხალხის შეგნებაში დიდი ცვლილება. ხალხი ერთბაშად გამოიცვალა, გამოიცვალა ძველი, პატრიარქალურ-გლეხური რუსეთი. „ტყუილა კი არ არის — ამბობდა ლენინი 9 იანვრის გამო დაწერილ ერთ წერილში,—რომ ევროპის ბურჟუაზიული გაზეთები გაიძახიან: 10 იანვრის რუსეთი ის აღარაა, რაც იყო რუსეთი 8 იანვარსო".

მართლაც, 9 იანვრის შემდეგ მთელი რუსეთი ერთბაშად შეიძრა; მოხდა მასიური გამოფხიზლება. არ დარჩენილა მაშინდელ რუსეთის იმპერიაში ისეთი ქალაქი, ისეთი კუთხე, რომელიც აღშფოთებით და ზიზღით არ გამოხმაურებოდეს 9 იანვარს დატრიალებულ სისხლის ღვრას. მუშებმა უპასუხეს თვითმპყრობელობის ამ გრანდიოზულ დანაშაულს არა მარტო გაფიცვებით და დემონსტრაციებით, არამედ გადაწყვეტილებით, რომ ამ დანაშაულს ისინი არ აპატიებდენ თვითმპყრობელობას. მთელ რუსეთში შეიქნა ისეთი სულისკვეთება, რომ ძველებურად ცხოვრება უკვე აღარ შეიძლებოდა. რუსეთის ისტორიაში მშრომელმა მასებმა პირველად იგრძნეს თავისუფლების ფასი, თავისი მონური მდგომარეობა მეფის და მისი დამქაშების წინაშე და გადასწყვიტეს, რაც არ უნდა დაჯდომოდათ, თავისუფლების მოპოვება. როგორც კი ასეთი შეგნება მოიპოვეს მასებმა, ისინი არავითარ დაბრკოლებების წინაშე არ ჩერდებოდენ. ეს შეგნება შეიჭრა საზოგადოების ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ფენებამდე, როგორიც იყვნენ ხელზე მოსამსახურეები, სახლის მუშები, რესტორანების და სასტუმროების ოფიციანტები, მეეზოვეები და სხვა. ჩვენც ადამიანები ვართო, — ხმამაღლა გაიძახოდენ ისინი, თუმცა ჩვენ ძაღლებად გვთვლიანო და თავის ხმას უერთებდენ საერთო მოთხოვნებს.

ზოგიერთ ადგილას, როგორც მაგ., ლოძში, ვარშავაში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ოდესაში ჩქარა 9 იანვრის ამბებთან დაკავშირებით მუშების გამოსვლები ღებულობენ აჯანყების ხასიათს, მუშები აკეთებენ ქუჩებში ბარიკადებს და იმართება ბრძოლა მუშებსა და ჯარებს შორის. მუშებს ხოცავენ, მაგრამ ისინი არ გრძნობენ თავის თავს დამარცხებულად. ამ ბრძოლებში მუშები იძენენ გამოცდილებას და ემზადებიან ახალ ბრძოლებისათვის. გახშირდა შემთხვევები, როცა ჯარისკაცები უარს აცხადებდენ გაფიცულ მუშებისათვის ესროლათ. ეს იყო იმის ნიშანი, რომ რევოლიუციონური მოძრაობა უკვე შეიჭრა ჯარში, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის ერთ უმთავრეს დედა-ბოძს შეადგენდა და რომელიც აქამდის ურყევად იცავდა მას. ჯარისკაცების და ზოგიერთ ჯარის ნაწილების რევოლიუციის მხარეზე გადასვლა უკვე 1905 წლის ზაფხულში ფაქტი შეიქნა. აქ საკმარისია დავასახელოთ ჯავშნიანი გემის „პოტიომკინის" ისტორია. რა თქმა უნდა, უდიდესი როლი ეკუთვნოდა რევოლიუციაში მრავალ მილიონიან გლეხკაცობას. როგორც მოსალოდნელი იყო, გლეხობაში უკვე 1905 წლის გაზაფხულიდან დაიწყო მღელვარება, რასაც მრავალ ადგილას მოყვა გლეხების ამბოხება და აჯანყება. მოთმინებიდან გამოსული გლეხები ანადგურებდენ მემამულეების ოჯახებს. იმათ უძრავ-მოძრავ ქონებას, ერთ წყებას ანაწილებდნენ [illegible], მემამულეებს დევნიდენ სახლებიდან, [illegible] ხოცავდენ. ეს იყო შურისძიება ყვე

რი ხილი და თუ სარდაფში არ იქნება ჭა, სადაც თავს მოიყრის სარდაფის სინესტე, საქონელი ვერ შეინახება და გაფუჭდება. ჩვენი არგუმენტი გაიგო „გონიერმა“ სახლის პატრონმა და მართლაც ამოთხარა ღრმა ჭა, რომლის ფსკერში იდგა წყალი. როცა სახლის პატრონის როლი დამთავრდა, ჩვენ შევუდექით შემდგომ მუშაობას, ე. ი. ჭის ზედა პირიდან ერთი მეტრით დაბლა გავთხარეთ ჭის კედელი და გავიყვანეთ დაახლოებით ერთნახევარი საჟენიანი გვირაბი კაპიტალური ფუნდამენტის მიმართულებით, ასე რომ მიწის ქვეშა შენობა (ოთახი) ჩვენი სტამბისათვის სწორედ ჩვენი სავაჭრო შენობის სამზარეულოს ქვეშ იყო.

სარდაფში აღმოჩნდა აუარებელი ნაყარი მიწა და მისი იქ დატოვება შეუძლებელი იყო, რადგან სარდაფი სავსე იყო მიწით. საჭირო იყო ამ ნაყარი მიწისთვის ადგილის პოვნა. მაშინ ჩვენ მოვიგონეთ შემდეგი. იმ საბაბით, რომ ჩვენ მოგვაქვს საქონელი და ვგზავნით მას, დავიწყეთ ცარიელი ყუთებისა და კასრების მოტანა, ვავსებდით ამ ყუთებსა და კასრებს და ვგზავნიდით „საქონელს“ მოკითხვამდე რუსეთის იმპერიის ყველა კუთხეში, ხოლო რას უშვრებოდენ მას იქ ალაჰმა უწყის. უნდა ვიფიქროთ, რომ გამოუსყიდავი ბარგის აუქციონით „გაყიდვის დროს“ აღმოაჩენდენ ჩვენ მიერ გაგზავნილ „საქონელს“, მაგრამ რა უნდა ექნათ მათ გარდა იმისა, რომ შეუკურთხებდენ „ბიჟ“ გამომგზავნელს.

ამგვარად, ჩვენ მთელი სარდაფი გავსწმინდეთ ნაყარი მიწისაგან, სარდაფში შესასვლელი კარი გავაკეთეთ იმდენად კონსპირატიულად, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა სამანქანო განყოფილებაში შესასვლელის აღმოჩენა. ჩვენ ამაში დავრწმუნდით, როცა ერთ დღეს ამხ. კრასინი მოვიდა სტამბის დასათვალიერებლად. იგი ნახევარი საათის განმავლობაში ეძებდა სარდაფში მანქანას. ჩაიხედა ჭაში, მაგრამ იქ დაინახა მხოლოდ წყალი. მოსინჯა კედლები, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო შემდეგ, როცა მან „თავი დამარცხებულად იცნო“, ჩვენ თვითონ ვუჩვენეთ მას კარი. იგი გახარებული დარჩა და წავიდა სავსებით კმაყოფილი ჩვენი გამომგონებლობით.

შენობის დაქირავებასა და მანქანისათვის სპეციალური სარდაფის მოწყობასთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე მუშაობა თვით მანქანის შესაძენად. ამ მიზნით ამხ. ენუქიძემ დაიწყო მოლაპარაკება ბაქოს ერთ-ერთი სტამბის პატრონთან აგარონთან. (გვარი არ მახსოვს, ხოლო სტამბის ფირმას ერქვა „არამაზდ“) მოლაპარაკება მარტივი იყო. ენუქიძემ აგარონს დიდი თანხა შეაძლია იმ რისკისათვის, რომელიც მას უნდა გაეწია და მან (აგარონმა) გამოიწერა თავისი ფირმისათვის (სტამბის მოწყობილობის შეძენა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც ამის სპეციალური უფლება ჰქონდა) სტამბის დაზგა „ამერიკანკა“-ს სისტემისა და როცა ლენინგრადიდან (მაშინ პეტერბურგი) დაზგა მიღებულ იქნა ბაქოში, იგი დაშალეს ნაწილებად, ჩააწყვეს ყუთებში და გადმოგზავნეს მოსკოვში. ამგვარად მიღწეულ იქნა კონსპირატიულობა იმ მხრივაც, რომ დაზგის კვალი წაიშალა და სწორედ მოსამზადებელი მუშაობის დამთავრების მომენტში მოსკოვში ჩვენ მივიღეთ ყუთებში ჩალაგებული „ამერიკანკა“ და დაუყოვნებლივ ჩავიტანეთ იგი სარდაფში. მთელ ამ მუშაობას დაახლოებით სამი თვე მოუნდა, ფული დაიხარჯა 3 ათას მანეთამდე და მუშაობა გაჩაღდა. მუშაკები ჩვენ დაყოფილი გვყავდა ორ ნაწილად: ზედა და ქვედა ბრიგადებად, მაგრამ, ქვედა ბრიგადა მუშაობდა ორწყებად, რადგან სტამბაში განუწყვეტლივ სწარმოებდა მუშაობა.

ვბეჭდავდით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური ორგანოს ჟურნალ „რაბოჩი“-ს და აგრეთვე სხვადასხვა პროკლამაციებს საჭირბოროტო საკითხებზე. ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენლებთან კავშირი გვქონდა ამხ. მ. გორკის მეშვეობით, რომელიც ჩვენ გვაწვდიდა ფულს.

სტამბა მუშაობას განაგრძობდა იმ აჯანყებამდე, რომელიც მოსკოვში მოხდა 1905 წლის დეკემბერში. როცა აჯანყება დაიწყო, როცა აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს სტამბები და რევოლუციონური გაზით იწყეს ყველაფრის ბეჭდვა მოსკოვის სტამბებში, ჩვენი „ამერიკანკა“ ზედმეტი გახდა და დაისვა საკითხი, როგორ უნდა მოვიქცეთ—დავრჩეთ სარდაფში თუ გავიდეთ ბარიკადებზე.

გადავწყვიტეთ ჩვენი გამგის გარდა ყველანი გავსულიყავით ბარიკადებზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენ ყველანი მშვენივრად ვიყავით შეიარაღებული მაუზერებით. მაგრამ საქმე არც ასე იყო. ცენტრალურმა კომიტეტმა გვიბრძანა ყველანი ადგილებზე დავრჩენილიყავით. თავდაპირველად ჩვენ დავეთანხმეთ, მაგრამ როცა მთელი მოსკოვი საბარიკადო ბრძოლის ცეცხლში გაეხვია, ცენტრალურ კომიტეტის წინაშე კვლავ კატეგორიულად დავსვით საკითხი იმის შესახებ, რომ მოეცა ჩვენთვის ბარიკადებზე გასვლის ნებართვა. მაშინ ცენტრალურმა კომიტეტმა ქვედა ბრიგადის ერთ წყებას მისცა ნებართვა, ხოლო მეორეს უბრძანა დარჩენილიყო თავის ადგილზე ყოველ შემთხვევისათვის. ამ დროს ქვედა ბრიგადაში შედიოდენ შემდეგი ამხანაგები: ილია თოდრია, სანდრო იაშვილი, ყარამან ჯაში და მე. ჩვენ უხერხულ მდგომარეობაში ვიყავით, რადგან არ ვიცოდით როგორ გადაგვეწყვიტა საკითხი,, თუ ვინ უნდა გასულიყო ბარიკადებზე. მაშინ წილი ვყარეთ და ბარიკადებზე გასვლა შეხვდა ამხ. თოდრიას და იაშვილს. მე და ჯაში კი უნდა დავრჩენილიყავით სარდაფში. ამხ. თოდრია და იაშვილი იმ წამსვე გაჰქრნენ, შეუერთდნენ წითელ გვარდიელთა რაზმებს და ჩაებნენ ნამდვილ ბრძოლაში. როცა ამხ. თოდრია მოვიდა ჩვენთან, რომ წაეღო, რაც შეიძლება მეტი ვაზნები და ნაჩქარევად მოგვიყვა ჩვენ, თუ რა ხდებოდა მოსკოვის ქუჩებზე,—მე და ჯაშმა „დავარღვიეთ“ ცენტკომიტ. დირექტივა (ეხლა დირექტივის ასეთი დარღვევისათვის თავზე ხელს არავის უსვამენ) და ამხ. თოდრიასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ იგი გვემუქრებოდა ცენტრალურ კომიტეტის დირექტივით, გავედით ქუჩაში და მალე მივაღწიეთ სადოვაიას და ტვერსკაიას კუთხეს, სადაც ნამდვილი რევოლუციონური საბარიკადო ბრძოლა იყო გაჩაღებული. შევუერთდით ამხანაგებს, რომელთაგან ჩვენ პირადათ არავის ვიცნობდით, და მათთან ერთად განვაგრძობდით ბრძოლას ყაზახებისა და რეგულიარული ჯარების წინააღმდეგ.

ეს რევოლუცია არა გავს თებერვლის რევოლუციას, იგი უფრო წააგავს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დასაწყისს. საქმე იმაშია, რომ მოსკოვის ქუჩებში დაინახავდით ორ ერთიმეორის მოწინააღმდეგე ბანაკს: აჯანყებულ მუშათა კლასს, რომელიც ჩვენი რევოლუციონური პარტიის ხელმძღვანელობით ებრძოდა მეფის ჯალათებს, ხოლო მეორეს მხრით ამავე მეფის ჯალათებს, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდენ მოსკოვის აჯანყებულ მუშებს. სხვა ელემენტები მოსკოვის ქუჩებში არ ჩანდა. დაინახავდით მხოლოდ ცალკე პირებს, რომელნიც საშინლად შეშინებულნი გადარბოდენ ერთი ქვაფენილიდან მეორეზე, რათა უვნებლად მიეღწიათ თავიანთ მეშჩანურ საოჯახო კერამდე.

აჯანყების პირველ დღეებში რევოლუციონერთა ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მალე ჩვენ ვიგრძენით, რომ მოწინააღმდეგეს ძალები მოემატა. ეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, იყვნენ ცნობილი სემიონოველები, რომლებიც პეტერბურგიდან მოუშველა მოსკოვის მთავრობას. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი ცალცალკე ნაწილების დამარცხება, მხოლოდ გრუზინში (ამჟამად კრასნაია პრესნიას რაიონი) ჩაფრდა წითელ-გვარდიელთა რაზმი ამხ. სედოის ხელმძღვანელობით და თითქმის ორი კვირის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდა მტრებს, სანამ ორი უბანი სრულიად არ გაანადგურეს ზარბაზნის ყუმბარებით.

მაშინ ბევრი ჩვენი ამხანაგი დაიღუპა, მაგრამ მათი საქმე არ დაიღუპა.

თვითმპყრობელობა დაემხო. მაგრამ ჩვენ დავამარცხეთ არა მარტო სისხლის მეფე ნიკოლოზ მეორე, არამედ კაპიტალიზმის მთელი სისტემა და მის ნანგრევებზე ავაგეთ მშრომელთა ახალი ქვეყანა.

მაგრამ ჩვენ, მაშინ დროებით დამარცხებულნი, დავუბრუნდით ჩვენს სამუშაოს „ამერიკანკაზე“, რათა კვლავ დაგვეწყო ბეჭდვა და მიგვეწოდებინა მუშათა კლასისთვის ლიტერატურა სისხლისმსმელი მტრების—ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1905 წლის რევოლუციამ დასტოვა თავისი კვალი და თავისი ნაყოფი გამოიღო. ასეთ ნაყოფს ეკუთვნის პრესის თავისუფლება, რომელიც ჩახშობილ იქნა 1906 წლის დამლევს 1905 წლის სხვა მონაპოვრებთან ერთად. და ეს ამ „პრესის თავისუფლებასთან“ დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის წინადადებით სტამბა დროებით გაუქმდა. შენობა დასტოვეთ დახურული და მისი არსებობა არავინ იცოდა 1923 წლამდე. ხოლო 1923 წელს ძველ ბოლშევიკების საზოგადოების წინადადებით საზოგადოების საერთო კრებაზე გავაკეთე მოხსენება ამ სტამბის ორგანიზაციის და მუშაობის ისტორიის შესახებ. ამჟამად ეს სტამბა აღდგენილია სწორედ იმ სახით, როგორიც იყო ის 1905 წელს და რევოლუციის მუზეუმის ერთ-ერთ საინტერესო განყოფილებას წარმოადგენს.

გ. სტურუა.

ალექსი მატიუშენკო

ჯავშნოსან „პოტიომკინ“-ზე მოწყობილი აჯანყების ხელმძღვანელი. ჩამოახრჩვეს 1907 წელს.



— ნეტა ვინ იყო, რომ მოჰკლეს?

— ჩაიარე, ჩაიარე. ვინც უნდა მოეკლათ, ის მოჰკლეს!

1905 წლის კარიკატურა, რომელიც გამოხატავს ცნობის მოყვარე დედაკაცისა და გოროდოვოის ლაპარაკს წითელ მოედანზე, სადაც ტერორისტ კალიაევის მიერ მოკლულ იქნა შავი რეაქციის სულის ჩამდგმელი დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე რომანოვი. გოროდოვოი უპასუხებს ჩვეულებრივი ფრაზით, რომლის აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველივე რაც კეთდება, უფროსების სურვილით კეთდება. ამ შემთხვევაში თუთიყუში გოროდოვოი მის და უნებურად ხალხის აზრს გამოხატავს.

დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოვიყენოთ ბამბის აკრეფის დასამთავრებლად

კოლმეურნეობები ბამბის აკრეფა-ჩაბარების მოწინავე რიგებში უნდა ჩადგნენ

„დაევალოს პარტორგანიზაციებს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა მთლიანად აკრიფონ და ჩააბარონ ბამბა და იმ კოლმეურნეობების მიმართ, რომელნიც ბამბას მინდვრებზე სტოვებენ – მიიღონ ზეგავლენის მაგარი ზომები (კრედიტების დახურვა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიცემის შეწყვეტა, უვარგის ხელმძღვანელთა პასუხისგებაში მიცემა და სხვ.“,

(ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის დადგენილებიდან)

ბამბის კამპანიის ჩამშლელნი

სასტიკად დაისჯებიან

(ყარაია)

ა-წ. 13 დეკემბერს საქართველოს უზენაეს სასამართლოს გამსვლელმა სესიამ სოფ. ყარათაპაში (ყარაიას რაიონი) განიხილა სოფ. ქესალოს მცხოვრებ **სულეიმან ალი-ოღლის და მაგომედ შაქარ-ოღლის** საქმე, რომელთაც ბრალი ედებოდათ იმაში, რომ არ შეასრულეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით თავის თავზე აღებული ვალდებულება, გასულ გაზაფხულზე მათ მებამბეობის კოოპერაციის რაიკავშირთან დასდეს საკონტრაქტაციო ხელშეკრულება, რომლითაც იკისრეს გარკვეულ სივრცეზე ბამბის დათესვა, **აიღეს ავანსი, მაგრამ ბამბა კი არ დაუთესიათ.**

საქმის განხილვის დროს სასამართლომ გამოარკვია, რომ ყარაიას რაიონში ბამბის საკონტრაქტაციო ვალდებულებების შეუსრულებლობა წელს ერთეულ შემთხვევებს არ წარმოადგენს [illegible] ულებელი რჩება ბამბის **დამზადების** გეგმის [illegible]

სასამართლომ ამასთანავე გამოარკვია, რომ საკონტრაქტაციო ვალდებულებათა შესრულებას არავითარ კონტროლს და ხელმძღვანელობას არ უწევდა მებამბეობის კოოპერაცია, რომელიც (საკონტრაქტაციო ხელშეკრულების ძალით) **ვალდებული იყო თესვის დამთავრებისასვე შეემოწმებია ფაქტიური ნათესების სივრცე, და განუწყვეტლივ ეხელმძღვანელნა ბამბის კულტურის მოვლა-დამუშავებისათვის.**

მებამბეობის კოოპერაციის ასეთმა უმოქმედობამ ხელი შეუწყო და გაუადვილა გლეხებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა, რის გამოც სახელმწიფოს დიდი ზარალი მიადგა. ამიტომ უზენაეს სასამართლოს სესიამ დაადგინა ბამბის თესვა-დამუშავების დროს დანაშაულებრივი უმოქმედობისათვის პასუხისგებაში იქნენ მიცემული ყარაიას მებამ. **რაიკავშირის თავმჯდომარე ალი ვალი-ოღლი ნასიმოვი და მისი მოადგილე მამედ ოსმანისძე სადიკოვი.**

საქმე გადაიგზავნა წინასწარ გამოძიების მოსახდენად. გამოძიების პროცესში პასუხისგებაში იქნებიან მიცემული ისინიც, ვისაც პირდაპირი თუ არა პირდაპირი მონაწილეობა მიუძღვის ამ დანაშაულში.

დამზადდა 110 ფუთი ბამბა

(კარდანახი)

მიმდინარე წელს კარდანახში ბამბის თესვას გაცილებით მეტი ყურადღება ქონდა მიქცეული, ვიდრე წინა წლებში. ბამბა დათესილი ქონდათ როგორც ინდვიდუალურ გლეხებს, ისე ჯგუფურ გაანაერთებს. ბამბა ეთესა 28 ჰექტარზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ბამბის ნათესების მოვლა წელს სათანადო დონეზე ვერ იყო დაყენებული, გარდა ამისა წელს ბამბას დაუდგა არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები. გვალვამ და შემდეგ კალიამ იმდენად გაანადგურა ნათესები, რომ ჯგუფურ გაერთიანების ნათესის 28 ჰექტარიდან მხოლოდ 8 ჰექტარი-ღა გადარჩა, საიდანაც აკრეფილ იქნა 110 ფუთი ბამბა. **ბამბის მოსავალი ჯგუფურმა განაერთებმა მთლიანად ჩააბარეს ბამბის დამამზადებელ პუნქტს.**

ბამბის მოსავალს მთლიანად მიმღებ პუნქტს აბარებენ აგრეთვე ინდივიდუალური გლეხებიც.

ბამბის ალება უახლოეს ხანში დამთავრდება. მიმდინარე წლის პრაქტიკამ ცხადი გახადა, რომ კარდანახის ნიადაგი ბამბისათვის ხელსაყრელ პირობებს შეიცავს და რომ ამ რაიონში ბამბის კულტურას კარგი მომავალი აქვს. ამასთან ერთად გლეხობამ დაინახა თუ როგორი სათუთი კულტურაა ბამბა, რომელიც აუცილებლად ზედმიწევნით კარგ მოვლას მოითხოვს.

მომავალი წლისათვის ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. მომავალი წლის გეგმა ითვალისწინებს ბამბის ნათესების გაფართოებას, ამასთან დაკავშირებით მაქსიმალურად უნდა გაძლიერდეს აგროხელმძღვანელობაც, რომ ბამბის ნათესებმა გლეხობას დიდი სარგებლობა მისცეს.

კე—ლი.

ბამბის ნედლეულის გადაცემა ფარდულებიდან ქარხნისათვის გასაწმენდათ

თვითნებობას ბოლო უნდა მოეღოს

გეგმის თანახმად ბამბის ნათესებისთვის წელს მძრალად უნდა მოიხნას 10.500 ჰექტარი. აქედან ბორჩალოში უნდა მოიხნას 5.000 ჰექტარი, ყარაიაში 2.000 კახეთში 3.500 ჰექტარი.

ადგილებიდან მიღებული ცნობის თანახმად ბორჩალოში 15 დეკემბრისთვის მოხნული იყო მხოლოდ 2.069 ჰექტარი, ანუ გეგმის 41,3 პროც. და კახეთში 92 ჰექტარი ე. ი. გეგმის მხოლოდ 2,6 პროც., ყარაიაში ბამბის ნათესებისთვის მძრალად მოხნული იყო 10 დეკემბრისთვის ათას ჰექტარზე მეტი. კულაკების შთაგონებით როგორც გამოირკვა, აქედან გლეხობას **ხორბალი** დაუთესია რამოდენიმე ასეულ ჰექტარზე.

ამრიგად ბამბის ნათესებისთვის ნიადაგის მძრალად მოხვნის და მისი ბამბისათვის გამოყენების გეგმის შესრულებას საფრთხე მოელის. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მიღებული უნდა იქნას გადამჭრელი ზომები.

დაუყოვნებლივ პასუხისგებაში უნდა მიეცენ ის პირნი ვინც ბამბისათვის გამოყოფილ ნაკვეთებზე ხორბალს ან სხვა კულტურას თვითნებურად სთესავენ.

ა. ლ.

უვარგისი მკრეფავები

(წერილი ალაზნის ველიდან)

მიუხედავად ამიერ-კავკასიის და საქართველოს სადირექტივო ორგანოების ბრძანებისა, რომ „აუკრეფელი არ დარჩეს არც ერთი ფუთი ბამბა“, ალაზნის ველზე თითქმის არაფერი კეთდება ბამბის აკრეფის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ადგილობრივი გლეხობა კრეფს მხოლოდ ისეთ ბამბას, რომელიც პარკიდან მთლიანად გამოსულია და რომლის მოკრეფაც მეტად ადვილია. ხოლო ბამბის ისეთ პარკებს, რომლებიც მთლიანად არ არიან გახსნილი აუკრეფავად სტოვებს.

მინდორზე მიტოვებული ბამბის ასაკრეფად აქ აგრეთვე გაყავთ ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები, რომლებსაც არავითარი ხელმძღვანელობა არ ეწევათ. მათ არავინ უხსნის როგორ უნდა მოიკრიფოს მოსავალი და რომ პარკებში არამც და არამც არ უნდა ჩარჩეს ბამბა.

ამას წინად ბამბის ასაკრეფად გაიყვანეს სიღნაღის კოოპერატიული ტეხნიკუმის და სხვა სასწავლებლების მოწაფეები, რომელთა მიერ მოკრეფილი ბამბა ხელმეორედ მოსაკრეფია.

ეს გარემოება უვარგის ხელმძღვანელობას უნდა მიეწეროს, რის გამოსასწორებლადაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები.

მიმაგრებული

უდიდესი წარმატებები სოციალისტურ მშენებლობაში

ამხ. კალინინის გამოსვლა რადიო-მიტინგზე

მოსკოვი, 19 დეკემბერი. რადიო-ცენტრის თეატრში შესდგა მოსკოვის, ლენინგრადის და ხარკოვის მუშა-დამკვრელთა გაერთიანებულ რადიო-კრება.

რადიო მიტინგზე გამოვიდა საკავშირო ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი, რომელმაც სთქვა:

„საბჭოთა კავშირში იწყება საბჭოების არჩევნები— ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანია. ამ კამპანიის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ არჩევნების დროს მშრომელთა მილიონების მთელი ყურადღება მიქცეულია საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და პოლიტიკის ძირითადი საკითხებისაკენ.

უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ სოციალისტურ მშენებლობაში. ეს მიღწევები განისაზღვრება არა მარტო იმ საქონლის რაოდენობით, რომელიც ჩვენ ქვეყანაში მზადდება და რომელიც უფრო და უფრო იზრდება. ამასთან ერთად ვითვალისწინებთ იმ გზას, რომელიც ჩვენ 13 წლის განმავლობაში გავვლეთ. საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიამ ფანტასტიურად და არარეალურად გამოაცხადა, მაგრამ ჩვენი მშენებლობა წინ უსწრებს ამ გეგმას. „კუზნეცსტროი“, „მაგნიტსტროი“, ქერჩი, „დნეპროსტროი“ და მძიმე ინდუსტრიის მრავალი სხვა გიგანტი არ იძლევიან მშრომელთა მატერიალური გაუმჯობესების დაუყოვნებლივ და ადვილად ხელშესახებ ეფექტს. თუჯი და ფოლადი საჭმელად არ გამოდგება, ავტომობილი და ტრაქტორი პალტოს და სხვა ტანისამოსის მაგიერობას ვერ გასწევენ. საბჭოთა ხელისუფლება და პარტია ამზადებენ მძლავრ ბაზას მსუბუქი ინდუსტრიისათვის, რომელიც პირდაპირ და ერთობ ადვილად დასანახ ეფექტს იძლევა. ამიტომ საბჭოთა კავშირი სახსრებს პირველ ყოვლისა მძიმე ინდუსტრიაში აბანდებს. ჩვენ ვეწევით კაპიტალისტურ ქვეყნების მაღალ ტეხნიკას, ჩვენ უსწრებთ მას. ამ მოძრაობას ჩვენი კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში თანსდევენ სიძნელენი, რომელნიც გადაჭრით უნდა გადავლახოთ.

ჩვენ გარშემორტყმულნი ვართ გარეშე მტრებით და ვახდენთ შინაური მტრების ლიკვიდაციას. საბჭოთა პროლეტარიატი, რომელიც თავისი შრომით მატერიალურ ღირებულებებს ქმნის, შესძლებს მათ დაცვას გარეშე და შინაური მტრების თავდასხმისაგან“.

ამხ. კალინინის შემდეგ საარჩევნო კამპანიაში პროფკავშირების როლის შესახებ მოკლე სიტყვით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ამხ. აბოლინი.

დასასრულ ქარხნების და ფაბრიკების წარმომადგენლებმა გაუკეთეს მოხსენება საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მსვლელობის შესახებ (ადს).

გერმანიის მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი

ზიზღს უცხადებენ იმპერიალისტებისა და მავნებლების გეგმებს

გერმანიის ინტელიგენციის მემარცხენე წრეების პასუხი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მზადებაზე

ბერლინი, 18 დეკემბერი. გერმანიის მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეთა დიდ კრებაზე, რომელიც წარმოადგენდა გერმანიის ინტელიგენციის მემარცხენე წრეების პასუხს იმპერიალისტების მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის მზადებაზე, გარდა პროფესორების გოლდშმიდტისა და გალეხი, მწერლების ვიგერსის, კიშის და ლიუდვიგ რენისა, გამოვიდა მწერალი არტურ გოლი ჩერი, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად თვითეულის წინაშე დასმულია გადაუდებელი საკითხი—**როგორ დამოკიდებულებაშია იგი საბჭოთა კავშირის მიმართ.** ამ კითხვაზე მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველ ნამდვილ მოღვაწეს შეუძლია უპასუხოს მხოლოდ, რომ საბჭოთა კავშირი მისი სამშობლოა.

გამოვიდა აგრეთვე ახალგაზრდა მეცნიერი ვიტფოგელი, რომლის ამას წინად გამოქვეყნებულმა შრომამ ჩინეთის ეკონომიკის შესახებ მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ყურადღება მიიქცია. ვიტფოგელმა აღნიშნა, რომ **„სამრეწველო პარტიის“ პროცესმა ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რამდენად დიდია ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.**

ვიტფოგელის განცხადებით, ჩინეთის ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს გადაუცია მისთვის, რომ **აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე კონფლიქტი გამოიწვია ჩინეთის პროვოკაციამ.**

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ვიტფოგელის განცხადებამ იმ ხმების შესახებ, რომლებიც დადის გერმანიის უმაღლეს პოლიტიკურ წრეებში—ვითომ საფრანგეთმა წინადადება მისცა გერმანიას მიიღოს შემდეგი შეთანხმება: გადასინჯული იქნება გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრები. ამის ნაცვლად პოლონეთი მიიღებს „სხვაგვარ ანაზღაურებას“.

ვიტფოგელმა აღნიშნა, რომ ეს ხმები წარმოადგენენ იმის საფრთხეს, რომ გერმანია ჩათრეული იქნება იმპერიალისტების ანტისაბჭოთა ბლოკში.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც **ზიზღს უცხადებენ იმპერიალისტების და მავნებლების გეგმებსა და მოქმედებას.** ამ რეზოლუციას წერილობით შეუერთდა გერმანიისა და უცხოეთის მრავალი მოღვაწე, რომლებიც არ დასწრებიან კრებას, მათ შორის მხატვრები კეტე და კოლვიცი და მწერლები **ტოლერი, ფრიდრიხ ვოლფი, რომენ როლანი და ეპტონ სინკლერი** (ადს).

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩინეთში

ძიანსის პროვინციაში დაიწყო მკაცრი ბრძოლა

შანხაი, 18 დეკემბერი. მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ სამხრეთით, ძიანსის პროვინციაში, დაიწყო უმკაცრესი ბრძოლა. წითელი არმია გმირულ წინააღმდეგობას უწევს მის წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსულ ნანკინის მთავრობის ჯარს.

ამერიკული გაზეთი „ივნინგ პოსტ“-ი შემდეგნაირად აწერს ძიანსის სამხრეთით შექმნილ მდგომარეობას:

„მთავრობის ჯარმა დაიჭირა ის ტერიტორია, რომელიც წინად წითლებს ეჭირათ. ახლა იქ მეტად სერიოზული ბრძოლაა. **მთავრობის ჯარს სოფლები სრულიად დაცალიერებული დახვდა**; სოფლებში აღმოჩნდენ მხოლოდ მოხუცი დედაკაცები, **მამაკაცები კი მთლიანად წითელ არმიას შეუერთდნენ. ახალგაზრდა ქალებიც კი შეუერთდნენ წითელ ჯარს**, სადაც ისინი დამხმარე ფუნქციებს ასრულებენ. მთავრობის ჯარმა ხელთ იგდო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პუნქტები რაიონში. მიუხედავად ამისა, მთელი რაიონი ისევ წითელი არმიის გავლენის ქვეშ იმყოფება“ (ადს).

საბჭოთა მთავრობა ძიანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთში

შანხაი, 19 დეკემბერი. გაზეთი „ჩაინა უორკერ კორესპონდენც“ — დაწვრილებით აღწერს შექმნილ მდგომარეობას ძიანსის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთში, სადაც **89 ოლქი წითელი არმიის ხელთ არის.**

ცალკე ოლქებში შექმნილ მთავრობებთან ერთად, **ძიანსის მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთში შეიქმნა საბჭოთა მთავრობა, რომელიც ეყრდნობა 4 მილიონზე მეტ მუშასა და გლეხს.**

წითელმა არმიამ ხალხის საკუთრებად გამოაცხადა მემამულეთა მიწები და რეკვიზიცია უყო აქტიური კონტრ-რევოლუციონერების ქონებას. (ადს)

პუანკარეს მორიგი გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

მოსკოვი, 18 დეკ. (საკ. კორესპ.) „ექსცელსიორ“-ი ათავსებს პუანკარეს მეორე წერილს, რომელიც ეხება მავნებელთა პროცესს და სავსეა ინსინუაციებით. ამ წერილში პუანკარე ამტკიცებს, რომ მზადდება კავშირი გერმანიისა და საბჭოთა კავშირს შორის. პუანკარე ამტკიცებს აგრეთვე, ვითომ საბჭოთა კავშირი აძლიერებს თავის სამხედრო ძალებს.

გაკოტრებული მხეცის ამ გამოსვლის საპასუხოდ, „ლუმანიტე“ ბეჭდავს **მარსელ კაშენის** წერილს შემდეგი სათაურით—„პუანკარეს კოშმარი“. „ხომ არ ფიქრობს პუანკარე, რომ საბჭოთა კავშირის პროლეტარები მისცემენ ვინმეს ნებას—შემოარტყას მათ ხელართებიანი მავთულის ბლოკადა? ისინი დიდი ოსტატობით—და ეს ჩვენ საქებრად მიგვაჩნია,—სარგებლობენ იმპერიალისტების შორის არსებული უთანხმოებით, რათა ჩაშალონ ანტისაბჭოთა ბლოკის წარმოშობა. მათ სავაჭრო ხელშეკრულება დასდეს მრავალ სახელმწიფოსთან, დასდებენ ხელშეკრულებას თვით ეშმაკთანაც კი, თუ ეს რევოლუციისათვის სასარგებლო იქნება. მათ საფრანგეთსაც მისცეს წინადადება—დაედო ხელშეკრულება, მაგრამ პუანკარემ უარი განაცხადა. პუანკარე ლაპარაკობს ხუთწლედის ჩაშლაზე და ამით იჩენს სრულ უვიცობას ან არაკეთილსინდისიერებას, რადგან ხუთწლედის წარმატებას კონტრ-რევოლუციონური ეკონომისტებიც კი ხედავენ“.

ესპანეთში აჯანყება ფართოვდება

პარიზი, 18 დეკემბერი. ესპანეთში შემოიღეს პრესისა და ყოველგვარი სხვა ცნობების განსაკუთრებით მკაცრი ცენზურა, რაც მოწმობს მდგომარეობის სერიოზულობას.

როგორც „დეილი ჰერალდ“-ი გიბრალტარიდან იუწყება, მადრიდის კერძო წყაროებიდან მიღებული ცნობები იმეორებენ [illegible] იმის შესახებ, რომ კადიქსსა და ვალენსიაში **საზღვაო ძალები მხარს უჭერენ რევოლუციონურ მოძრაობას.**

იმავე წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, თუმცა ესპანეთის მთავრობა აცხადებს, რომ „მთელს სახელმწიფოში სიწყნარე აღდგენილიაო“ **ჩრდილოეთის და სამხრეთის ბევრ პროვინციაში მაინც აშკარა აჯანყებაა.**

მადრიდიდან ჯარი განუწყვეტლივ იგზავნება ჩრდილოეთისაკენ. ქალაქიდან გასვლა შეუძლებელია სპეციალური ნებართვის გარეშე.

იტყობინებიან, რომ ალიკანტეში ჯარისკაცები შეუერთდნენ აჯანყებულთ. (ადს)

17 კომკავშირელის პროცესი

ვენა, 19 დეკემბერი. როგორც სოფიიდან იუწყებიან, 15 დეკემბერს იქ დაიწყო 17 კომკავშირელის პროცესი; მათ ასამართლებენ „სახელმწიფოს დაცვის“ კანონის საფუძველზე. ბულგარელმა კომკავშირელებმა საპროტესტო დემონსტრაციები გამართეს იმ ქუჩებში, სადაც სასამართლოში წაყვანის დროს გაატარეს პასუხისგებაში მიცემულნი. დემონსტრაციის სამი მონაწილე დააპატიმრეს. (ადს)

ფინეთის მთავრობა ამზადებს ომს

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ჰელსინგფორსი, 18 დეკემბერი. ფინეთის სეიმმა დაამტკიცა სამხედრო სამინისტროს საგანგებო ბიუჯეტი მომავალ წლისათვის. ბიუჯეტი ითვალისწინებს 75 მილ. ფინური მარკის (ფინური მარკა დაახლოებით 5 კაპეიკია) გაღებას საგანგებო ხარჯებისათვის **არმიის გასაძლიერებლად.**

ბიუჯეტის დასაცავად წარმოთქმულ სიტყვაში სამხედრო მინისტრის ამხანაგმა ესტერჰოლმა აღნიშნა: **„კრედიტი უნდა მოხმარდეს თავდაცვის ორგანიზაციას საბჭოთა კავშირთან ომის შემთხვევაში;** იგი შეადგენს სამხედრო ძალების გადიდების იმ ხუთწლიანი გეგმის ნაწილს, რომლის განხორციელებასაც დასჭირდება 700 მილ. ფინური მარკა. პროგრამა გამოწვეულია იმით, რომ **ომის შემთხვევაში ერთა ლიგის შეიარაღებული დახმარების მიღებამდე შეიძლება რამდენიმე თვე გავიდეს.** არმია, რომელიც უკან იხევს, ვერ გამოიწვევს ერთა ლიგის რაზმების თანაგრძნობას. საეჭვოა, რომ ერთა ლიგაში შემავალმა სახელმწიფოებმა იბრძოლონ ფინეთის განთავისუფლებისათვის, თუ იგი ხელში ჩაიგდო მოწინააღმდეგემ“.

პრემიერმა **სვინხუვუდმა** მოითხოვა პროგრამის მიღება და განაცხადა, რომ თუ პროგრამა უარყოფილ იქნა, მთავრობას არ შეუძლია პასუხი აგოს ფინეთის თავდაცვისათვის. პროგრამის უარყოფას იგი ჩასთვლის უნდობლობის გამოცხადებათ მთავრობისათვის.

სეიმის თავმჯდომარის მოადგილემ **სოციალ-დემოკრატმა ხაკილამ** კამათის დროს განაცხადა:

„ეკონომიური მოსაზრებებით, აგრეთვე უმაღლესი სარდლობის მიერ მოწყობილი დიდი სკანდალის გამო, ამჟამად უხერხულია იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც ასეთ სახსრებს მოითხოვს. სკანდალის ორგანიზატორებს შორის დიდი ნდობით სარგებლობდა სამხედრო მინისტრი **მანერი** და ამიტომ საკვირველია, რომ სეიმი კიდევ ენდობა სამხედრო მინისტრს და უდიდებს მას კრედიტს“.

მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს წინადადება საგანგებო კრედიტების რაოდენობის მარტო შემცირებისა, აგრეთვე სეიმის კომისიის მიერ წამოყენებული მოტივების უარყოფის შესახებ და მხოლოდ ამიტომ მისცეს ხმა პროექტის წინააღმდეგ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დღეებში სეიმის მიერ მიღებული თავდაცვის სამინისტროს 1931 წლის საერთო ბიუჯეტი გადიდებულია 45 მილ. ფინურ მარკით, თვალსაჩინოდ გადიდდა აგრეთვე შიუცკორის (სამხედრო ფაშისტური ორგანიზაცია) შესანახი ბიუჯეტი. (ადს)

ქარიშხალი შავზღვაზე

სევასტოპოლი, 19 დეკემბერი. ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებს, კერჩის რაიონში ნაპირზე გარიყულ იქნა სამგზავრო გემი „სერგეევი“. მეგანის კონცხთან გემმა „ემშანოვ“-მა ავარია განიცადა. ღელვა გრძელდება. ზღვაზე რამოდენიმე გემი მძიმე მდგომარეობაშია (ადს).

ლა. იმ უბედურებათა, ჩაგვრათა და შევიწროებათა გამო, რასაც გლეხკაცობა განიცდიდა საუკუნოების განმავლობაში. მაგრამ იგივე ფაქტი მოწმობდა აგრეთვე იმასაც, რომ გლეხკაცობა ჯერ კიდევ შეუგნებელი იყო, რომ მას არ ქონდა მიღებული პოლიტიკური გაწვრთნა, რომ გლეხურ მოძრაობას ჯერ არ ქონდა სათანადო ორგანო და პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომ ეს მოძრაობა არ იყო იმ ხანებში დაყენებული ქალაქის მუშების რევოლიუციონური მოძრაობის გავლენის ქვეშ. უნდა აღვნიშნოთ აქ, რომ ეს არ ითქმოდა ყველა რაიონების შესახებ. მაგ., გლეხთა მოძრაობა საქართველოში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში იმ დროს უკვე დაყენებული იყო მუშების რევოლიუციონური მოძრაობის გავლენის ქვეშ და მას ხელმძღვანელობას უწევდა სოც. - დემ. პარტია. ასევე იყო ლატვიაში და ზოგიერთ სხვა რაიონებშიაც. მაგრამ საერთო სურათს ეს არ ცვლიდა.

1905 წლის განმავლობაში რევოლიუციის ტალღა სულ უფრო და უფრო მაღლა იწევს, გაფიცვების რიცხვი, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური ხასიათის თანდათან მატულობს: ასევე დემონსტრაციები აჯანყებები, შეიარაღებული გამოსვლები. ყოველივე ამას თან ახლდა ტერორისტული აქტები, პოლიტიკური მკვლელობები და თავდასხმები მთავრობების დაწესებულებებზე და [illegible], პოლიციელებზე, ჯაშუშებზე. საერთო შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ რუსეთის ხალხთა ყველა სასიცოცხლო ძალები თითქოს ერთად და [illegible] ემზადებოდნენ საყოველთაო გამოსვლისათვის მეფის მთავრობის დასამხობად. ყველანი ელოდებოდენ სათანადო ბრძანებას რევოლიუციის ცენტრიდან. მეფის მთავრობა თავის მხრით პაწია - პატარა უმნიშვნელო დათმობებისაკენ მიდიოდა. მაგრამ ეს არავის აკმაყოფილებდა გარდა ლიბერალური მემამულე და ფლიდი ბურჟუაზიისა, რომელსაც კუდში მისდევდნენ აგრეთვე მენშევიკებიც. რევოლიუციონური მოთხოვნები იზრდებოდა იმ მხრით, რომ წინანდელი მოთხოვნები ახლა აღარ აკმაყოფილებდა მუშებს და გლეხებს. ჩამონაჭრების მოთხოვნა უკვე გადალახული იყო, ახლა გლეხკაცობა თხოულობდა ყველა მემამულეების მიწების კონფისკაციას. წინედ თუ კმაყოფილდებოდენ სამოქალაქო თავისუფლებათა უზრუნველყოფით, ახლა თხოულობდნენ **დამფუძნებელი კრების მოწვევას, დემოკრატიულ რესპუბლიკას.** რაც შეეხება ბოლშევიკებს, ესენი აყენებდენ უკვე **პროლეტარიატის და გლეხკაცობის რევოლიუციონურ - დემოკრატიულ დიქტატურას,** როგორც რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების თავდებს.

ცალკე ქალაქებში და რაიონებში 1905 წ. განმავლობაში ხშირად ხდებოდა მუშების და ხელოსნების **საყოველთაო გაფიცვები.** მაგრამ მთელი რუსეთის მასშტაბით ასეთი საყოველთაო გაფიცვა ჯერ არ მომხდარიყო. ამის მოწყობა დამოკიდებული იყო გაფიცვათა ცენტრის შექმნაზე, ერთი მხრით, და რკინის გზების მუშების და ფოსტა - ტელეგრაფის მუშა - მოსამსახურეთა რევოლიუციის მხარეზე გადასვლაზე მეორე მხრით. ყველა ამ დაბრკოლებათა დაძლევა შესაძლებელი შეიქნა 1905 წლის ოქტომბერში. ოქტომბრის 12-დან (ძვ. სტ.) იწყება **საყოველთაო გაფიცვა** მთელ რუსეთში. ყველაფერი გაჩერდა, რკინის გზები, ფაბრიკები და ქარხნები, მაღაზიები. ეს იყო თავზარდაცემა მეფის მთავრობისათვის. ის თითქო შეძრა - შეირყა პირველად თავის არსებობის დღიდან. წავიდა სერიოზულ და დიდ დათმობაზე 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოქვეყნებით. ეს იყო ყოველ ეჭვს გარეშე **რევოლიუციის დიდი გამარჯვება.** მაგრამ თვითმპყრობელობა ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. საჭირო იყო მისი დამხობა, ჩაქოლვა. უამისოდ მას შეეძლო კვლავ გამაგრებულიყო და რევოლიუციისათვის მახვილი ჩაეცა გულში. ეს, რომ ასე იყო, ამას ნიშნები გამოჩნდა მანიფესტის გამოქვეყნების მეორე დღესვე. მეფის მთავრობა სრულებით არ ფიქრობდა იარაღის დაყრას. იგი მაშინვე შეუდგა თავის ძალების მობილიზაციას და დაიწყო მზადება შეტევაზე გადასასვლელად. პეტერბურგში ოქტომბრის საყოველთაო გაფიცვის დროს **ჩამოყალიბდა მუშათა დეპუტატების საბჭო,** პირველ ხანებში გაფიცვის სახელმძღვანელოდ. გაფიცვის დამთავრების შემდეგ ეს საბჭო არა თუ არ დაიშალა, არამედ კიდევ უფრო გამაგრდა. იგი არსებითად გადაიქცა მეორე მთავრობად მეფის ოფიციალური მთავრობის გვერდით. იმ დროის პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს უფრო მეტი გავლენა და ავტორიტეტი ქონდა, ვინემ თვით ვიტტეს მთავრობას. მას უკან იდგა მთელი რევოლიუციონური პეტერბურგი და კიდევ მეტი, მთელი რევოლიუციონური რუსეთი. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ ის, რომ მას ქონდა მორალური ავტორიტეტი, მორალური ზეგავლენა. მას არ ყავდა დასაყრდენი ძალა. ე. ი. მის განკარგულებაში არ იყო შეიარაღებული ძალა მაშინ, როცა მეფის მთავრობას ყავდა თავის განკარგულებაში ასეთი ძალა. მეფის მთავრობამ ეს კარგად იცოდა, იგი კარგად ხედავდა, რომ თუ კიდევ ცოტას დააყოვნებდა, მუშათა დეპუტატების საბჭო შეიარაღებულ ძალას შექმნიდა. ამიტომ მეფის მთავრობას ამის საშუალება არ უნდა მიეცა მისთვის. ასეც მოიქცა. მან ზედიზედ ორჯერ დაატუსაღა პეტერბურგის საბჭო. ამით მან რამდენიმედ განაიარაღა რევოლიუციის ცენტრი. ეს იყო 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების დასაწყისი. ეს ჯერ არ იყო საერთოდ რევოლიუციის დამარცხება, რადგანაც პროვინციაში რევოლიუცია ჯერ კიდევ [illegible]. პირველი იერიში პეტერბურგის შემდეგ თვითმპყრობელობას მოსკოვზე უნდა მიეტანა და მიიტანა კიდეც. შეტაკებები რევოლიუციონერებსა და მეფის ჯარებს შორის თითქმის ყოველთვის ხდებოდა იმ დროს, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი შეტაკება მოხდა მოსკოვში დეკემბრის თვეში. ყველა ეს შეტაკებები საერთოდ გამოწვეული იყო რევოლიუციის მსვლელობით, ისინი გამოწვეული იყო აუცილებლობით, უმეტეს ნაწილად ისინი წარმოადგენდენ პასუხს მთავრობის მხრივ თავდასხმაზე თავდაცვის მიზნით. პეტერბურგის საბჭოს დატუსაღებით მთავრობა შეუდგა პირდაპირ თავდასხმის პოლიტიკას რევოლიუციის აღმოსაფხვრელად. მოსკოვის პროლეტარიატი 9 დღის განმავლობაში შეუპოვრად იბრძოდა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ. მთავრობას იმ ზომამდე გაუძნელდა მოსკოვის პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყების დამარცხება, რომ იგი იძულებული შეიქნა სამხედრო ჯარის ნაწილები პეტერბურგიდან გამოეწვია. მოსკოვის აჯანყების გამარჯვება შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გამოეხმაურებოდენ და აქტიურ დახმარებას აღმოუჩენდენ სხვა რაიონები, განსაკუთრებით ისეთი რაიონი, როგორიც იყო პეტერბურგი. სამწუხაროდ, პეტერბურგში იმ დროს შეიქნა ისეთი მდგომარეობა, რომ მოსკოვის აჯანყებისათვის მხარის დაჭერაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. კიდევ უარესი: პეტერბურგის ორგანიზაციებმა საშუალება მისცეს მთავრობას პეტერბურგიდან ჯარის ნაწილების გადასაყვანად მოსკოვის პროლეტარიატის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მოსკოვის აჯანყების დამარცხების დაჩქარებას.

მოსკოვის აჯანყების დამარცხება ნიშნავდა არსებითად 1905 წლის რევოლიუციის დროებით დამარცხებას.

ამას შემდეგ ბრძოლა სხვადასხვა ქალაქებში და რაიონებში კიდევ გრძელდებოდა რამდენიმე ხანს. ასეთი მდგომარეობა იყო, მაგ., ამიერკავკასიაში, კერძოდ ტფილისში და დასავლეთ საქართველოში. ამ რაიონებში თითქმის ყოველგან არსებითად ძალა-უფლება აჯანყებული ხალხის ხელში იყო. მეფის მთავრობის ორგანოები დამბლა დაცემული იყვენ და აღარ მოქმედობდენ. ადგილობრივი ორგანიზაციები ელოდებოდენ ცნობას ცენტრიდან, თუ როდის უნდა მოეღოთ ამათთვის ბოლო, რადგანაც დარწმუნებული იყვენ, რომ ცენტრში რევოლიუციამ უკვე გაიმარჯვაო. ნამდვილად კი მდგომარეობა სულ სხვანაირი იყო. როგორც კი თვითმპყრობელობის ადგილობრივმა ორგანოებმა გაიგეს, რომ ცენტრში კონტრ - რევოლიუციამ გაიმარჯვა, იმათაც იწყეს უკვე უფრო კაბედულად მოქმედება და შეიარაღებული იერიშების მიტანა რევოლიუციონურ ორგანიზაციებზე. უპირველეს ყოვლისა დაკრეს თავში ტფილისის პროლეტარიატს. დეკემბრიდან ტფილისში მდგომარეობის ბატონ - პატრონი იყო ტფილისის პროლეტარიატი და მისი მოწინავე რაზმი — სოც. - დემოკრატია. მაგრამ მან ვერ შესძლო ამ მდგომარეობის შენარჩუნება, რადგანაც ამისათვის საჭირო იყო შეიარაღებული ძალის შექმნა და იმაზე დაყრდნობა. ადგილობრივ ორგანიზაციაში აქ სჭარბობდენ მენშევიკები, რომლებიც შეიარაღებულ აჯანყების მოხდენას, ე. ი. მთავრობაზე თავდასხმას მისი ჩამოგდების მიზნით, გაურბოდენ. ისინი ამჯობინებდენ მიტინგების მოწყობას, რეზოლიუციების გამოტანას და ინდივიდუალურ ტერორისტულ აქტების მოხდენას. გადაჭრილ რევოლიუციონურ ნაბიჯებს არ აკეთებდენ. მთავრობამ კი იარაღს მიმართა და მდგომარეობა უცებ შეიცვალა მთავრობის სასარგებლოდ. ამას შემდეგ მას შესამჩნევად უადვილდებოდა დასავლეთ საქართველოს დაპყრობა, რომელიც საერთოდ რევოლიუციონერების ხელში იყო და რომელიც არსებითად ბოლშევიკურ ტაქტიკას ადგა. მაგრამ რეაქციის გამარჯვების შემდეგ ცენტრში და ტფილისში ბედი გადაჭრილი იყო.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების მთავარი მიზეზი იყო შემდეგი გარემოებანი: 1) რევოლიუციის ერთი ცენტრის არ არსებობა. ყველა ცენტრს ელოდებოდა, რას იტყვის ცენტრიო, მაგრამ ასეთი ცენტრი თითქმის არ არსებობდა, 2) განხეთქილება სოც.-დემოკრატიულ პარტიაში და ამ ნიადაგზე ჩამოვარდნილი შინაპარტიული ბრძოლა. სოც.-დემოკრატია არსებითად ორ პარტიას წარმოადგენდა, რომლებიც სულ სხვადასხვა ტაქტიკას იზიარებდენ. ეს გარემოება იწვევდა რევოლიუციონურად განწყობილ მასებში არევ - დარევას და დაბნეულობას: ამას ემატებოდა ისიც, რომ მენშევიკები არსებითად ბურჟუაზიულ ტაქტიკას ატარებდენ ცხოვრებაში. აქედან წარმოიშვა ის, რომ რევოლიუციონური პარტიები ვერ იყენებდენ თავის დროზე აჯანყებულ ჯარის ნაწილებს, ვერ იყენებდენ აჯანყებულ გლეხებს. 3) არ იყო სისწრაფე რევოლიუციონურ პარტიების მოქმედებაში, რაც ასე საჭიროა ომის დროს, და ყოველი რევოლიუცია ხომ ომს წარმოადგენს. ამ ნაკლით სარგებლობდენ რევოლიუციის მტრები.

მაგრამ იმავე დროს რამდენი დადებითი მხარე გამოამჟღავნა 1905 წლის რევოლიუციამ! პირველ ყოვლისა 1905 წლის რევოლიუციამ ცხადჰყო, რომ პროლეტარიატს და გლეხკაცობას შეეძლო მეფის თვითმპყრობელობის დამხობა აშკარა ბრძოლაში. 1905 წლის რევოლიუციამ პოლიტიკურ სარბიელზე გამოიყვანა ხალხის უმეტესობა, — ისინი, ვინც საუკუნოების განმავლობაში იტანჯებოდა ვისაც სიტყვის თქმა არ შეეძლო, ვისაც არ ქონდა ყოველგვარი ადამიანური უფლება ყველა ესენი გამოვიდენ პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე და პირველად მთელ თავის ცხოვრებაში გრძნობდენ თავის თავს ადამიანებად და არა პირუტყვებად. ეს იყო უაღრესად დიდებული სურათი — 1905 წლის რევოლიუციისა. ეს იყო მასიური რევოლიუცია. მართალია, მან იმ ხნობით ვერ დასცა თვითმპყრობელობა, მაგრამ გამოუთხარა მას ძირი, დასჭრა იგი სასიკვდილოდ, რისგანაც თვითმპყრობელობამ განკურნება ველარ მოასწრო. ის იყო წინამორბედი ორი შემდგომი რევოლიუციის, რომელთაც მან მოუმზადა ნიადაგი. 1905 წლის რევოლიუციის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა 1917 წლის როგორც თებერვლის, ისე ოქტომბრის რევოლიუციები. ლენინმა, რომელმაც საერთოდ მოგვცა ამ რევოლიუციის უმთავრესი შეფასება, 1905 წლის რევოლიუციას უწოდა ოქტომბრის რევოლიუციის გენერალური რეპეტიცია.

მენშევიკებს, როგორც ვიცით, 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ აღარ სწამდათ საერთოდ რევოლიუციის განმეორება მომავალში. ეს იყო მათი ღალატი როგორც რევოლიუციის, ისე საერთოდ მუშათა კლასის და გლეხკაცობის მიმართ. 1905 წლის დიდი რევოლიუცია დამარცხდა მხოლოდ დროებით. ეს დამარცხება იყო მისი მომავალი გამარჯვების თავდები.

ფ. მახარაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

„საბჭოთა საქართველოს 10 წლის თავი“

სურათ „საბჭოთა საქართველოს 10 წლის თავი“-ს გადასაღებათ დასავლეთ საქართველოში გაეგზავრა რეჟისორ **ნ. ღოღობერიძის** ჯგუფი. სურათის პირველ ნაწილში მოცემული იქნება მენშევიკური პერიოდი საქართველოში, ხოლო მეორე ნაწილში საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები სამეურნეო და პოლიტიკურ ფრონტებზე 10 წლის განმავლობაში.

სურათი ნაჩვენები იქნება 25 თებერვალს—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავზე.

კულტმუშაობის დათვალიერების შედეგები

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება კულტმუშაობის საკავშირო დათვალიერების შედეგების შესახებ საქართველოში. დათვალიერებამ უზრუნველჰყო კულტმუშაობის ორგანიზაციული გარდაქმნა და გაზარდა კულტაქტივი დამკვრელი მუშების ხარჯზე. კულტორგანიზაციების მთელი ყურადღება მიპყრობილია კულტმუშაობის დაკავშირებაში სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანებთან.

სხვადასხვა

— **საქ. საალმშენებლო ინსტიტუტში დღეს,** 6 საათზე მოწვეულია სტუდენტთა და მათ კამერფაზე მყოფ ო-კაბ-ის წევრთა საერთო კრება. საბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო. დასწრება სავალდებულოა.

— **განათლების მუშაკთა სახლში** შაბათს, 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ამხ. ბ. ბუაჩიძე გააკეთებს მოხსენებას „ლიტერატურულ პოლიტიკის კითხვები“. მოხსენების შემდეგ დისპუტი.

— **ხელოვნების სასახლეში** კვირას, 21 დეკემბერს, საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა წრის საერთო კრება, დღის წესრიგში: მოხსენება „დამკვრელ მუშათა გაწვევა მწერლობაში“ და მიმდინარე საკითხები.

— **პროფსაბჭოს დიდ დარბაზში** 23 დეკემბერს, დილის სრულ 11 საათზე შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: თბილისის საბჭოს ანგარიში. დასწრება სავალდებულოა.

— **ა.-კ. სატყეო ინსტიტუტში** დღეს, საღ: 6 საათზე მოწვეულია სტუდენტთა საერთო კრება. დღის წესრიგი: ინჟ. სტეფანოვსკის მოხსენება სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ

მუშათა მომარაგება

პური დახურული სასადილოებისათვის

მუშკოოპის საზოგ. კვების განყოფილებამ მიმართა „სოიუზხლებს“, მუშკოოპის მიერ გახსნილი დახურული სასადილოებისათვის ყოველდღიურათ გამოყოს გამომცხვარი პურის ზედმეტი ნორმა დამატებითი ულუფების გასაცემად.

თბილისი უკვე მომარაგებულია ნავთით

უკანასკნელ დღეებში ნავთის დასარიგებელ პუნქტებთან უკვე მოისპო რიგები და ნავთი თავისუფლად იყიდება ქალაქის ყველა უბნებში. განვლილი ორი კვირის განმავლობაში მუშკოოპი ქალაქში არიგებდა 130—150 ტონა ნავთს, მაშინ, როდესაც ქალაქის მაქსიმალური დღიური მოთხოვნილება ზამთრის პერიოდში არ აღემატებოდა 80 ტონას.

ამჟამად მუშკოოპის სათბობი განყოფილება ნავთის გაყიდვას აწარმოებს ქუჩებში, როგორც დამტარებლების საშუალებით, ისე ცისტერნებიდანაც.

შალეულის ტანისამოსი

ახლო ხანში მუშკოოპი მიიღებს შალეულობისაგან შეკერილ დამზადებულ ტანისამოსის ახალ პარტიას. შეკერილი ტანისამოსი გაიყიდება თავისუფლად.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში კოლექტორების დანაშაულებრივი დაუდევრობით გავიდა შემდეგი უხეში შეცდომები: დეპეშას ტყიბულიდან, რომელიც მოთავსებულია, პირველ გვერდზე სათაურად აქვს „ტყიბულის მაღაროებს გარდატეხა არ ემჩნევა“ უნდა იყოს: „ტყიბულის მაღაროებს გარდატეხა ემჩნევა“.

მეორე გვერდზე დეპეშას პარიზიდან სათაურად აქვს: „ესპანეთის მთავრობა გაურბის მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლას“. უნდა იყოს: „ესპანეთის ბურჟუაზია“ და სხვ.

ახალი სახის ნედლეული

ტყავის მრეწველობისათვის

ამიერკავკასიის სმუს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქართველოს ტყავის მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ. მოსმენილ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს ტყავის მრეწველობა ნედლ მასალათ უმთავრესად ხმარობს მსხვილფეხა საქონლის, ცხვარის და თხის ტყავებს.

აღნიშნული ნედლეული ვერ აკმაყოფილებს ტყავის მრეწველობის გაზრდილ მოთხოვნილებებს და ამიტომ საჭირო გახდა გამოძებნილიყო ახალი სახის ისეთი ნედლეული, რომლის გამოყენებასაც შესძლებდენ ტყავის ქარხნები.

დღემდე საქართველოს ტყავტრესტის ქარხნებს არ ჰქონდათ ისეთი მოწყობილებები, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ისეთი ნედლეულის გადამუშავება, როგორიცაა ღორის, ვირის და სხვა ცხოველების ტყავეულობა.

ამიერ-კავკასიის სმუს პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო საქ. ტყავის ტრესტმა შეიძინოს საჭირო მოწყობილობები და მოაწყოს ღორის და ვირის ტყავების გადამმუშავებელი წარმოება.

ტყავის მრეწველობის სრულიად საკავშირო გაერთიანების წინაშე აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ მომავალ წლიდან საქართველოში დამზადებული ღორის და ვირის ტყავები მთლიანად გადაეცეს საქართ. ტყავის ტრესტს.

მომავალი წლის განმავლობაში ტყავის ტრესტმა უნდა გადაამუშაოს 30.000 ღორის და 4.000-მდე ვირის ტყავი.

აღნიშნული ნედლეულის გადასამუშავებელი წარმოების მოწყობას ტყავის ტრესტი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს.

თბილისი.—რკინისგზელ მუშების ახალი სახლი ნაძალადევში

ჭადრაკი

1931 წლის საკავშირო ჩემპიონატი თბილისში

ა.-კ. ფიზ. საბჭოს საჭ.-საშ. ბიურომ, უკანასკნელ საკავშირო ჩემპიონატის მოწყობის დროს, რომელიც ჩატარდა 1929 წ. ქ. ოდესაში, თავის დროზე აღძრა შუამდგომლობა საკავშირო საჭ.-საშაშო სექციის წინაშე, რათა აღნიშნული შეჯიბრება ჩატარებულიყო თბილისში. ჩემპიონატის დაწყების თითქმის უკანასკნელ დღემდე მოსალოდნელი იყო, რომ იგი აუცილებლად თბილისში მოეწყობოდა. შემდეგში სხვადასხვა მოსაზრებათა და მიზეზების გამო, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ჩემპიონატი გადატანილ იქნა ქ. ოდესაში. მკითხველებს ალბად ახსოვთ, თუ რა მძიმე პირობებში მოუხდათ მოჭადრაკეებს აქ თამაში, რამაც სამართლიანი საყვედური და მასთან უკმაყოფილებაც გამოიწვია როგორც ჩემპიონატის მონაწილეთა, ისე პრესის მხრივაც. ასეთმა დიდმა შეჯიბრებამ, როგორიც არის საკავშირო ჩემპიონატი, არავითარი კვალი და გავლენა არ მოახდინა იქ, სადაც ამჟამადაც საჭადრაკო ცხოვრება მეტად მკრთალია. აღნიშნულმა შეჯიბრებამ არ მოგვცა ის, რასაც მისგან მოველოდით, სახელდობრ: კავშირის უძლიერეს მოჭადრაკეთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები და, აგრეთვე რაც უფრო მთავარია, აგიტაცია-პროპაგანდა საჭ.-საშაშო ორგანიზაციების გარშემო ახალი წევრების დასარაზმავად.

აგვისტოს რიცხვებში, **ი. როხლინის** თბილისში ყოფნის დროს მოწყობილ საჭადრაკო აქტივის თათბირზე კვლავ წამოიჭრა ეს საკითხი, სადაც ი. როხლინს, როგორც საკავშირო საჭ.-საშ. სექტ. აღმასბიუროს წევრს, დაევალა ჩემპიონატის მოწყობის საკითხის გადაჭრის დროს იგი აუცილებლად თბილისში მოწყობილიყო. როხლინი დაეთანხმა ამ მოსაზრებას, რამაც უკვე პრაქტიკული შედეგებიც გამოიღო. ამჟამად უკვე სწარმოებს უშუალო მოლაპარაკება ა.-კ. და საკავშ. საჭ.-საშ. სექტორის შორის და არის იმის ნიშნები, რომ შეჯიბრება აუცილებლად თბილისში ჩატარდება. ა.-კ. ფიზ. საბჭო მიიღებს ყველა ზომებს, რათა ეს შეჯიბრება გადმოტანილ იქნეს კავშირის საჭადრაკო ცხოვრების ერთ-ერთ აქტიურ ცენტრში—ა.-კ. დედა-ქალაქ თბილისში.

საერთაშორისო მაესტრო კმოხი საბჭოთა კავშირში

ავსტრიის ცნობილმა მაესტრომ **კმოხმა**, გამოსთქვა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის სურვილი საჭადრაკო ცხოვრების და საქმის დაყენების გაცნობის მიზნით. საკავშირო საჭ.-საშ. სექტორის აღმასბიურომ მიზანშეწონილად სცნო კმოხის ჩამოსვლა და შეუდგა მისი ჩამოსვლის საკითხის პრაქტიკულად მოგვარებას. ამასთან ერთად დამუშავდა საბჭოთა კავშირში კმოხის გასტროლების გეგმა.

კმოხი თანამედროვე მოჭადრაკეთა შორის საუკეთესო თეორეტიკოსი და კომენტატორთაგანია. შეჯიბრებაში იგი შედარებით ნაკლებად იღებს მონაწილეობას. აქვს მთელი რიგი გამარჯვებანი მცირე საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

სასურველია საქართველოს საჭ.-საშ. სექტორმა კმოხის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში ჯეროვნად გამოიყენოს და აუცილებლად მოიწვიოს ის საგასტროლოდ.

ალბულაღში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გლეხებმა მოიტანეს კომბოსტო, რომლის წონა 1 ფუთს და 10 გირვ. უდრიდა. გლეხები დააჯილდოვეს.

შემთხვევები

● **დაჭრა.** რუსის ქუჩაზე, ქალთა სასადილო „ნადში“ სიმონ აბნერაშვილმა, დანით დასჭრა ნესტორ მაჩაიძე, ალექსანდრე ჩიქოვანი და არტემ გაბუნია. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

● **გვამის პოვნა.** ვერის პარკთან, გამოქვაბულში იპოვნეს დამხრჩვალი 13 წლის ვაჟის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია. გვამი მოთავსებულია პროზექტურაში.

● **დაპატიმრება.** ხულიგნობისათვის, დააპატიმრეს სარქის სარქისის ძე გრიქუროვი.

#**ჯიბგირობა.** ტრამვაის ვაგონში, ლავრენტი დუდუნაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 120 მან.

● **ჯიბგირობა.** ტრამვაის ვაგონში პორფილე გოგლიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 300 მანეთი.

#**ქურდობა.** გაქურდეს, ალექსანდრე ჩოხაშინის ბინა (მელიქოვის ქუჩა № 8), საიდანაც მოიპარეს 1000 მან. ნივთები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი დღეს, 20 დეკემბერს, **საღამოს 6 საათზე იწვევს მიმღებ კომისიის სხდომას.** სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ვარ. აფიცერიანი, ავეტიკ თუმანიანი, ალ. პავლოვსკი, მამედ ტასონალი-ამედი და ალი ფადაევი № 61 უჯრედიდან. ბენიამინ კვირიკაძე და შალვა კვირიკაძე მე-13 უჯრედიდან, გავრი კალანტაროვი, ვლადიმერ კორსკი, მკრტიჩ ვანიანი, სიმონ ხაზინი, იოსებ ოიბაკი მე-24 უჯრედიდან; ზაქრო ელიკაშვილი, ნიკოლოზ გეგეჭკორი, ერვანდ ადუმიანი, ალექსი ლეჟავა, მიხეილ მოვზორაშვილი მე-25 უჯრედიდან; დოდო გვახარია, ილია მაჩაიძე, შალვა ჩინჩალაძე, აკაკი სვანიძე, ალ. ტორომშიანი, ბენია ჩულახიძე, ივანე ჩაჩულაძე, ალექსანდრე კამკამიძე მე-29 უჯრედი; იოსებ აჯიმამუდოვი, პროკ. ცინცაძე, სერგო არუთინოვი, არმენაკ ღარიბოვი მე-64 უჯრედი; იოსებ ფურცელაძე, ივანე სააკაძე, ქუქიაშვილი, ბუზარაძე, ივანე ეგანოვი, შალვა გორდელაძე მე-65 უჯრედი; გიორგი ყარალაშვილი, გაბრ. გიორგობიანი, კონსტანტინე ნინუა ფოსტის უჯრედი; შაქრო ქიტიაშვილი მე-85 უჯრედი; გრიგოლ კოკოლია, ივანე ჭოლოშვილი, ვლადიმერ მაპიშვილი, სამუელ იაკობაშვილი, არჩილ ბაჩიაშვილი, პელაგია თოდრია, პავლე ქარსელაძე, შალვა გაბაძე, შალიკო გელოვანი, ზოს. ვიმლიანი, აკაკი მამალაძე, ევტიხი ბოლქვაძე, გიორგი ბაკურაძე, ბენ. ბოჭორიშვილი, ნიკოლოზ ონიანი, ივანე ძიძიგური, ანტონ მაისურაძე, ალექს. შარაშიძე და ბაქრაძე მე-48 უჯრედი. ლევან ბახჩიევი მე-16 უჯრედი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ: ალექსანდრე მაისურაძეს, ალეპკერ იუსუპოვს, სერგო ცხოვრებაშვილს, გოკაძეს და ვასო იტრიევს გამოცხადდენ დღეს, დილის 10 საათზე ამხ. აფციაურთან (ოთახი № 51).

—:—

20 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულია ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების საზეიმო სხდომა თბილისის პარტაქტივთან ერთად.

საზეიმო სხდომას გახსნის ამხ. მიხა ცხაკაია. დღის წესრიგი: 1905 წლის რევოლუციის 25 წლის თავი: მომხსენებელი ამხ. ფ. მახარაძე.

ძველ ბოლშევიკთა და პოლიტ-კატორღელთა საზოგადოების წევრები შედიან თავიანთი მოწმობებით ან ბილეთებით ს. კ. პ. (ბ) ა-კ საოლქო კომიტეტის, საკონტრ. კომისიის, საქ. კომპ. (ბ) ც. კ: და საკონტრ: კომისიის წევრები, ა-კ ცაკის, სახკომსაბჭოს, საქ. ცაკის, სახკომსაბჭოს წევრები, სამხედრო-რევ. საბჭოს, ქალაქის საბჭოს და საქ. კ: პ. (ბ) რაიკომის წევრები, აგრეთვე ლ. ახ. კომკავშირის ა-კ საოლქო კომიტეტის და საქ. ც. კ: წევრები შედიან თავიანთ მანდატებით. დანარჩენი სპეციალური ბილეთებით, რაც გაიცემა რაიკომების მიერ.

—:—

დღეს, საღამოს 7 საათზე თბილისის მუშკოოპის პარტკომში მოწვეულია მუშკოოპის ყველა კომუჯრედების პ-მგ. მდივნების და ბიუროს წევრების თათბირი.

—:—

— **პედაგოგიურ ინსტიტუტში დღეს, საღ.** 8 საათზე შესდგება საზ. ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება, წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

სახელმწ. ოპერა
შაბათს, 20 დეკემბერს
დილით: აბესალომ და ეთერი, დასაწ. დილის 12 ს. 30 წ.
საღამოს: მე-10 აბ. მე-5 წარ. დაისი
კვირას, 21 დეკემბ. მე-7 აბ. მე-5 წარმ. წითელი ყაყაჩო
ორშაბათს 22 დეკემბ. მე-16 აბ. მე-5 წარმ. თავადი იგორი
ანონსი: ამ დღეებში სიმფონიური კონცერტი
დირიჟორ იულიუს ერლიხის (ბერლინი) ხელმძღვანელობით

ქართული სახელმწიფო დრამა
მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
21 დეკემბერს
აბონემენტის გარეშე
პაპალ გულში
დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათზე.
ბავშვები 12 წელზე ნაკლები ჰასაკისა წარმოდგენაზე არ დაიშვებიან

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები
აპოლო: I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
სპარტაკი საღამოს სეანსები: I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
სპარტაკი დღის სეანსები: I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.
საზამთრო დარბაზი: I სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—10-30.
საქართ. სახკინმრეწვის ახალი მხატვრული ფილმი
უგუბზიარა
სცენარი მდივანისა და რონდელის. რეჟის. დ. რონდელი.
ისტორიული ფილმი
დიდი საქმის კავშირი (ს.ვ.დ.)
დადგმის მეორე კვირა მხატვრული ფილმი
აზრეკ-ზაური

რ. ლიუქს სახ. კინო (უ. მიხიონი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.
საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები უგუბზიარა რეჟისორი დ. რონდელი
კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30
მეორე კვირა მეორე პომერის ცირკი მთავარ როლებში მა[illegible]ისტი და ჟანა კა[illegible]ტიოტი

დაიწყო
წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა

საქ. მიწსახკომის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის ცენტრალურ ღვინის სარდაფის აპარატის წმენდისა პეტრიაშვილის ქ. № 1 (ყ. საუფლ. სწულო).

ვთხოვ ყველა მუშებს, მოსამსახურეებს და მოქალაქეებს მასალები და აცილება გადმოგზავნონ შემდეგი მისამართით: ძნელაძის (ყოფ. მესანგრეთა) ქ. № 32 საცივარ ცენტრო, ამხ. გ ლელაშვილს. **საწმენდი კომისია:** თავმჯდომარე ლელაშვილი, წევრები: მუშები: გერმესაშვილი და მუშიანი. ადმინისტრაციიდან—მ. სირაძე, ქარხკომიდან—ნურიჯანოვი.

ნ. 2165 2—1 თავმჯდომარე—ლელაშვილი.

გაზ. „კომუნისტის“ გამომცემლობა
1931 1931
მიიღება ხელისმოწერა გამოცემებზე:

კომუნისტი
საქ კომუნისტური პარტიის (ბ) ც. კ-ს და სრ. საქ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპ საბჭოების ცაკის ორგანო
გაზეთის ფასი:
ერთი თვით . . . 1 მან
ერთი წლით . . . 12 მან.

ბოლშევიკი
საქ. კომ. პარტიის (ბ) ც. კ-ს ყოველთვიური პოლიტიკურ-ეკონომიური ორგანო
ჟურნალის ფასი:
ერთი თვით . . . 25 კაპ.
ერთი წლით . . . 3 მან.

დროშა
ორკვირეული სალიტერატურო დასურათებული ჟურნალი
ჟურნალის ფასი:
ერთი თვით . . 30 კაპ.
ერთი წლით . . . 3 მ. 60 კ.

ხელისმომწერთა საყურადღებოთ
თანახმად საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, პერიოდულ გამოცემათა გავრცელებისა და ჩაბარების მონოპოლიური უფლება მინიჭებული აქვს ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას. ჩვენს გამოცემებზე ხელისმოწერა მიიღება: ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში, ხელისმოწერის ორგანიზატორებთან და წერილების დამტარებლებთან. გამომცემლობა პროვინციიდან ხელისმოწერას არ იღებს.
0 1

სულ მოკლე ხანში
ვასწორებ ხელს წერაში
რუსულ და ქართულ ენებზე
პროფ. კოსოდოს მეთოდით.
ტურგენევის ქუჩა № 4 (მე-9 კომისარიატი). კბილის ექიმის ფონ-ბრენერის ბინა, შესავალი ეზოდან.
2—1 2550

ვამზადებთ მოწაფეებს:
10 წლედის და 7 წლ. დასამთავრებელ მოწმობისათვის. სდგება აგრეთვე ჯგუფები: საბუღალტრო კურსებზე. შვიდწლედებში და მუშფაკებში შესასვლელად. ვასწორებთ ყველა საგნებში სუსტ მოწაფეებსაც.
პირობები გაიგება:
1. კარგარეთელის ქ. № 3-ა. 3 ნახ. 4 ნახ. საათამდის. (კინო აპოლოს მახლობლად).
გოგებაშვილის მეორე შესახვევი (ყოფ. პეტროვის მეორე შესახვევი) № 20, 10—12 ს., 4—6 საათამდე.
20 5 7767

ნ. კონტოროვიჩი
თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. ყოფ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხხაპუნება „914 ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით 8 9 ს. საღამოს 6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელ. 1-90. 25—10

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი ქალი
ნინო მირიანაშვილი
განაახლა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი: ტრიპერი, სიფილის, შესხმა „914“ (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 6 8 საათამდე. მოსკოვის ქუჩა № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14-23
25—3

ექიმი
ს. ანდრეევისა
განაახლა ავადმყოფების მიღება ჯირკვლების და ძვლების ტუბერკულოსი. მკურნალობა ხელოვნური მზის სხივებით (კვარტ-ტერაპია).
ავადმყოფებს ღებულობს 5—7 ს. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29 ყოფ. ვერის ხიდთან 2—51

ექიმი ქალი
თ. ს. ორკოდაშვილი-უშვერიძე
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: საღამოს 5-დან 7 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქუჩა № 13.

ექიმი
გ. ი. შაპოშნიკოვი
კლარა ცეტკ. [illegible] № 7. (ყოფ ელისაბ[illegible] ქ. № 7).
ვენერიული [illegible] სნეულებანი, მიღება საღ. [illegible] 8 საათამდე.
25—13

ბაღდადის პარტკომი და რაიაღმასკომი აღნიშნავს წითელი ხევის კომუჯრედის მდივანის, მტკიცე ბოლშევიკის

ალექსანდრე სოლომონის ძე კოტორეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. (დეპ.)

ბაღდადის რაიკოოპკავშირის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი, ერთგული და დაუღალავი მუშაკის, წითელი ხევის საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარის ამხ.

ალექსანდრე კოტორეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. წითელ-ხევში შაბათს, 20 დეკემბერს. ნ. 2174

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი: დედა პასიკო, ცოლი აგრაფინე, შვილები: ნინა და იგარი, სიდედრი ედუკი და სიმამრი მოსე ნიქაბაძეები შვილებით ბახუ და ბროკოფით იუწყებიან მათთვის უძვირფასეს

ვასილ ოქროპირის ძე ლექვინაძის

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ბათომში. გამოსვენება ბინიდან თბილისის ქუჩ. № 39, კვირას 4 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე. (ს)

ცოლისდა ნინა, ქვისლი ბიქტორ მესხი შვილებით: თამარა, ეთერი, თინა, ჟუჟუნა და ბონდო, ცოლისდა გუგული, ქვისლი ივანე გაბუნია იუწყებიან მათთვის უძვირფასეს

ვასილ ოქროპირის ძე ლექვინაძის

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ბათომში. (ს)

თბილ. სახელმ. ცირკი
დღეს და ყოველდღე მოსკოვის პირველი სახ. ცირკის გასტროლები
გრანდიოზული პროგრამა
საბჭოთა კავშირის და უცხოეთის საუკეთესო მსახიობები და ატრაქციონები. დასაწყისი საღ. სრულ 8 საათზე. ბილეთები იყიდება, როგორც მიმდინარე წარმოდგენაზე, ისე წინასწარ. სალარო ღიაა ყოველდღე 11 ნახ. ს. 2 საათამდე და 5 დან 9 საათამდე. კოლექტიური განცხადებები მიიღება სახ. ცირკის კანტორაში. ნ. 2156

განათ. მუშ. კავშირის ც. გამგეობა

აცხადებს იმავე კავშირის წევრთა საყურადღებოდ, რომ 20 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე განათლების სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) შესდგება

ამხ. ბენიტო ბუაჩიძის მოხსენება შემდეგ თემაზე:

ლიტერატურული პოლიტიკის შესახებ

დასწრება განათლების მუშაკთა კავშირის წევრთათვის და განსაკუთრებით კი სიტყვიერების მასწავლებელთათვის სავალდებულოა.

ც. გ. თავმჯდომარე—ვ. იმედაძე.

8572 საქმეთა მმართველი—გრ. ბახტაძე.

მცხეთის სასოფლო საბჭო

(მცხეთის რაიონი) ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ მცხეთაში, ოსეთის და არაგვის ქუჩის შუა სვეტიცხოვლის უკან მდებარე მოედანი საბჭოს დადგენილების თანახმათ

გამოცხადებულია ბაზრის მოედნათ

და ა. წ. 1 დეკემბრიდან **დაარსებულია ბაზრობა,** სადაც იწარმოებს როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის და ყოველგვარი პროდუქტის ყიდვა-გაყიდვა. ბაზრობის დღეთ გამოცხადებულია კვირა—დღე.

8354 **საბჭოს თავმჯდომარე პ. ყარმაზანაშვილი.**

ყველა კომისარიატს, სამეურნეო ორგანიზაციას, სამეცნიერო დაწესებულებათ, საზოგადოებათ და უმაღლეს სასწავლებელთ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა დაარსებულია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოამზადოს და მოაწყოს საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავის დღესასწაული. სხვა ძირითად ღონისძიებათა შორის კომისიას დავალებული აქვს გამართოს გამოფენა საბჭოთა მშენებლობისა 10 წლის განმავლობაში.

ამ დავალების შესასრულებლად კომისია წინადადებას გაძლევთ წარმოადგინოთ სასწრაფოდ, არა უგვიანეს 23 დეკემბრისა, გამოფენისათვის საჭირო მასალები, როგორიცაა: გამოცემები, ანგარიშები, დიაგრამები, რუკები, ფოტოგრაფიები და სხვა ყოველგვარი მასალები, რაც იძლევა საბჭოთა მიღწევების სურათს.

კომისიის თავმჯდომარე: შარია.

ნ. 2172

საქართვ. წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი

1931 წ. 1-ლ იანვრიდან ხსნის უმცროს მედიცინის დების კურსებს 6—12 თვიანს

კურსებზე მიიღებიან ქალები 17 35 წლამდე, განათლებით არა ნაკლებ 4 წლედისა, მისაღები სოციალური მდგომარეობით და პარტიული მიმართულებით.

კურსები იწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე.

განცხადებები მიიღება წითელ ჯვარში ყოველ დღე 9—3 საათამდე 30 დეკემბრამდე (კრილოვის ქ. № 15)

8335

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— სამხ. აღრიც. წიგნ.—გიორგი აზმეიფარაშვილის სახელზე. 8348
— პარტბილეთი 0851047—იასონ მიხეილის-ძე ჭილოკავას სახ. 8347
— პირად. მოწმ. 42—ოლღა ამბროხაშვილის სახელზე. 8345
— მუშკ. წიგნ. 1150421—ბაგრატ ტყაბლაძის სახელზე. 8343
— პირად. მოწმ. 42—პარასკევა ამბროხაშვილის სახელზე. 8344
— ჰუმანიურ ტექნიკუმის დამთავრების მოწმ. 467—ელისაბედ მაჭარაშვილის სახელზე. 8171
— 10-წლ. დამთ. ატესტ. 1197—არჩილ იმერლიშვილის სახ. 8328
— კავშ. წიგნ. 33840—ნესტორ ლეჟავას სახელზე. 8326

ღრმად დამწუხრებული მეუღლე გულნარა სერგის ასული ჯაფარიძე შვილებით: თამარა, არჩილ, იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ პირველისთვის მეუღლის და მეორეთა ძვირფასი მამის

ვანო ჯაფარიძის

ტრაღიკულათ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს 6 საათზე. ხოშტარიას ქუჩა № 22. დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული. 8581

ნუგეშდაკარგულნი დედა მართა შვილებით: გიგო, ვიქტორი, ლევანი, ტერეზია, დესპინე, მარიამი, ნინა, ბაბილინა, რძალი ოლღა შვილით ვლადიმერით, ძმისწულები კოტიკა ცოლშვილით და შურა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი ნუგეშის

ვანო ჯაფარიძის

ტრაღიკულად დაღუპვას. 8586

უსაზღვროთ გულმოკლულნი: ბიცოლა ვარო, ბიძაშვილები კატუშა და თამარა ჯაფარიძეები, სიძე პავლე იაშვილი პატარა ბესიკათი აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 17 დეკემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის მუდამ საყვარელი და დაუვიწყარი

ვანო ჯაფარიძე

8352

საქარ. საგზაო სამმართველოსთან არსებულ სატრანსპორტო-საალმშენებლო სასწავლებლის პედსაბჭო მწუხარებით იუწყება თავის მდივნის, გიგო ჯაფარიძის ძმის, დამცველთა კოლეგიის წევრის

ვანო მიხეილის-ძე ჯაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 8570

დამწუხრებული მიხა რაზიკაშვილი ცოლშვილით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 17 დეკემბერს ტრაღიკულათ გარდაიცვალა უსაყვარლესი ბიძაშვილი და სიყრმის მეგობარი

ვანო ჯაფარიძე

8352

ღრმად დამწუხრებული ახლო მეგობრები: ი. ბარათაშვილი, შ. მესხიშვილი და მ. ღვამიჩავა ოჯახობით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი ამხანაგი-მეგობარი, დამცველთა კოლეგიის წევრი

ივანე მიხეილის-ძე ჯაფარიძე

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 4 საათზე, 21 დეკემბერს. 8584

ლიზა და ვატიკო ქიქოძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათი უახლოესი მეგობრის და იშვიათი ამხანაგის

ვანო ჯაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალების გამო. 8584

თავზარდაცემულნი: დიანოზ გამყრელიძე, მეუღლე კატო, შვილები: გიორგი, ალექსანდრე, პეტრე, ივანე, ძმა ვასილი. შვილი მისი ხუხულა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ვანო ჯაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 8580

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი სიდედრი სალომე კონსტანტინეს ას. ქიქინაძე შვილებით და სიძეებით: ვერა და ივლიანე ლასხიშვილები, ნადეჟდა და ვარლამ ჟუზნაძეები და კოწია სერგოს-ძე ქიქინაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ უსაყვარლესი და საამაყო სიძის

ვანო ჯაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 8581

დარო ყიფიანისა, ემილიანე გოცირიძე მეუღლით ნინოთი და ანდრო გვარამაძე მეუღლით თამარით ვგლოვობთ საყვარელ ნათესავის და მეგობრის

ვანო ჯაფარიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 8589

ქუთაისის პირველ შვიდწლედის ყოფილი თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას იშვიათ მასწავლებლის, სპეტაკ ადამიანის და საყვარელ ამხანაგის

ნინო ბრეგაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 2173

დამწუხრებული შვილები: ფედოსი, შალიკო და გიორგი, სიძე ვარლამ ფერაძე, რძალი ნინა კოვზირიძე, შვილიშვილები თინა და ოთარი, ლუბა და მელიტონი სირბილაძეები შვილებით იუწყებიან

სპირიდონ (ფიდო) სოლომონის ძე ერაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან 4-ნახ. საათზე. 8566

გაუბედურებული მეუღლე მარიამი შვილებით: ნუცა ქმრით მიშა ცხადაძით და შვილით ნუნუთი, ავქსენტი მეუღლე ევგენიათი, თინა, რაისა და კოკო აუწყებენ მეგობართ და ნათესავთ მათი საყვარელი

ვარლამ (ვარდენ) იოსების-ძე წერეთლის

გარდაცვალებას. 8571

უნუგეშოთ დარჩენილი დედ-მამა, და-ძმა მარო, ანდრო და ვლადიმერი ნეპოიუშჩები იუწყებიან, რომ 18 დეკემბერს, გარდაიცვალა მათი ვაჟი სტუდენტი

ბორის ანდროს-ძე ნეპოიუშჩი

გამოსვენება თბილისიდან ქუთაისში, დაკრძალვა 23 დეკემბერს, საფიჩხიის სასაფლაოზე. 8582

კოჩკა პიპინაშვილი მშობლებით და დებით მწუხარებით იუწყებიან თანშეზრდილ მეგობრის და იშვიათ ამხანაგის

ბორია ნეპოიუშჩის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ქუთაისში, 23 დეკემბერს, საფირჩხიის სასაფლაოზე 4 ს. 85.3

დამწუხრებული მეგობრები: დ. და პ. ბერძენიშვილები, სიხარულიძე ტ., ჩიკვაიძეები ლ. ვ. შ., მიზანდარი ვ., დოლიძე კ., პიპინაშვილი ნ., კიკნაძე კ., ალვაროვი პ., ცხადაძე დ., ჯანელიძე ა. და ნოდია ვ. იუწყებიან დაუვიწყარი ამხანაგის, სტუდენტის

ბორის ანდროს ძე ნეპოიუშჩის

გარდაცვალებას. 8594

დამწუხრებული მეუღლე სერგო, დედა მაშიკო და სიდედრი სარა იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მარო მალაქიას ასული ლებანიძე-დაუშვილისა

დაკრძალვა დღეს. გამოსვენება ბინიდან, კიკეთის ქ. № 27. (ს)

გულდამწვარი მშობლები: მარიამ და მიხეილ ცინაძეები თავიანთი პატარა ცეცილიათი, ბებია და ბაბუა მაგდანი და ნარიმანი უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან მათი უსაყვარლესი

პატარა შუქურას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება დღეს, 20 დეკემბერს, 4 საათზე, ბელინსკის ქ. № 4-დან. 8320

თბილისის მუშკოოპის კოოპერატიული მოწაფეობის სკოლის პედაგოგიური საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის ამხ. მიხეილ ცინაძის შვილის

პატარა შუქურას

უდროოდ გარდაცვალების გამო. 8575

თბილისის 1-ლი პედაგოგიური ტექნიკუმის და მე-2 საქარხნო სკოლის თანამშრომლები იზიარებენ მიხეილ ცინაძის და მისი ოჯახის განუსაზღვრელ მწუხარებას გამოწვეულს მათი შვილის

შუქურას

უდროოდ გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ბელინსკის ქ. № 4. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 8577

თბ. კოოპერატიული ტექნიკუმის მე-II/2 კურსის მსმენელები უსაზღვრო მწუხარებას გამოსთქვამენ ჩვენი კლასის დამრიგებელის მიხეილ ცინაძის პატარა

შუქურას

უდროოდ გარდაცვალების გამო. 8594

თბილისის მე-2 შრომის სკოლის მე-7 ჯგუფის მოწაფეები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი მასწავლებლის მიშა ცინაძის პატარა გოგონას

შუქურას

უდროოდ დაკარგვის გამო. 8590

თბილისის კოოპერატიულ ტექნიკუმის პედსაბჭო, კომკავშირის უჯრედი და მოწაფეთა თვითორგანიზაცია გამოსთქვამს ულრმეს მწუხარებას ამავე ტექნიკუმის მასწავლებელ მიხეილ ცინაძის ბავშის

შუქურის

უდროოდ დაკარგვის გამო. 8355

თბილისის სამეურნეო სკოლის მე-9 ჯგუფის მოწაფეები მწუხარებით იუწყებიან

აბესალომ თევდორეს ძე არველაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, გორის ქუჩა № 23, კუკიის სასაფლაოზე. 8562

უახლოესი ამხანაგები: დ. ვაშაკიძე, პ. კოტარია, კ. ცხაკაია, ს. პაპავა, პ. ბალავაძე, მ. ნინუა, შ. კუჭავა, კ. მეიშვილი, ს. ხარაბაძე, რ. კრავეიშვილი, ს. ცინცაძე, ჟორა და მარო ჯვარშეიშვილები ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ

აბესალომ თევდორეს ძე არველაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 8561

დამწუხრებული მეზობლები იუწყებიან თევდორე არველაძის ერთად ერთი ვაჟის სამეურნეო სკოლის მე-9 ჯგუფის მოწაფე

აბესალომ თევდორეს ძე არველაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. 8591

თბ. სამეურნეო სკოლის პედსაბჭო აუწყებს საზოგადოებას მე-9 ჯგ. მოწაფის

აბესალომ თევდორეს-ძე არველაძის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ბინიდან, გორის ქ. № 23. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 8334

ინდუსტრიალიზაციის გაწვევის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლის მოსამზადებელ კურსების ქართულ სექტორის მე-2 ჯგუფის მსმენელები პედაგოგებთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ჯგუფის მსმენელის აკაკი კალაძის მეუღლის

თამარა იმნაიშვილი-კალაძისა

უდროოდ გარდაცვალების გამო. 8588

უახლოესი მეგობრები ვერიჩკა ჩხაიძე, ქრისტინე ჭიპაშვილი და ლიდა შანიძე მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის

თამარ იმნაიშვილი-კალაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. შუხუთში დღეს. 8357

დამწუხრებულნი: მეუღლე სინია, შვილი ნადია გვარჯალაძეები, ცოლის დები: დომნა და ელენა, ქვისლები: სამსონ ლეჟავა და ალექსანდრე მათიაშვილი შვილებით იუწყებიან, რომ ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

ივანე პეტრეს ძე გვარჯალაძე

დაკრძალვა კვირას, 21 დეკემბერს, 3-ნახ. საათზე, გამოსვენება ანტონოვის ქ. № 67. 8358

დამწუხრებული: სიდედრი ბარბალე, ცოლისძმები: დიმიტრი, ვალოდია, ცოლისდები: ბაბილინა, ლიდა, ვაშაკიძეები, ნათესავები ჟორა მარუსია ბაკურაძეები, ნადია ლეჟავა დავსტირით სიძეს

ივანე პეტრეს-ძე გვარჯალაძეს

დაკრძალვა 21 დეკემბერს კუკიის სასაფლაოზე 3 ნახ. საათზე. გამოსვენება ბინიდან. ანტონოვის ქ. № 67. 8579

ივანე გაჩეჩილაძე ცოლშვილით იუწყება მამის,

ერასტის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე დღეს. გამოსვენება ბინიდან (პლეხანოვის პროსპ. № 150, ობსერვატორიის შენობა) 4 საათზე. 8585

დამწუხრებული დები ნათა და მინა ნადარეიშვილები, პირველის შვილებით: სანდრო, შალვა, შურა; რძლებით: ფუცა, ოლღა; შვილიშვილებით: გულნარა, ნინა, გივი, ფრიდონ და ოთარი იუწყებიან დაუვიწყარი

მელიტონ კონსტანტ. ძე ნადარეიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. სამ. პანაშვიდი დღეს, 6 საათზე (ძერჟინსკის ქ. № 24). 8473

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: ოჯახი, მშობლები და ნათესავები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათთვის საყვარელი „ენგურბუმსტროი“-ს მთავარ ინჟენერის

გიორგი ვლადიმერის-ძე კოჩინაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს, 7 საათზე. კამოს ქუჩ. № 33. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 8576

სასოფლო მეურნეობის მუშათა კავშირის რესპ. კომიტეტი იუწყება სასოფლო მეურნეობის მუშათა კავშირის ზუგდიდის რაიკომის თავმჯდომარის, ენერგიულ მუშაკის ამხ.

მათე ჯიქიას

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 2170

ტირაჟი — 62.200
საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი“. კამოს ქ. № ..